მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
CIPDD

პოლიტიკის ნარკვევი

იანვარი 2022

კრიზისი როგორც ახალი ნორმა:

რა შეიძლება ვისწავლოთ რთული წლის გამოცდილებიდან

გია ნოდია

ძირითადი მიგნებები

ოპოზიციის მიერ პარლამენტის ბოიკოტის გადაწყვეტილებამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რაც მასობრივი გაყალბების ბრალდებებს ემყარებოდა, საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პოლიტიკურ კრიზისს დაუდო სათავე. თუმცა ევროკავშირის შუამავლობით 2021 წლის აპრილში მიღებული შეთანხმების საფუძველზე თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია პარლამენტში შევიდა, სიტუაცია ნორმალური მდგომარეობისგან ჯერ კიდევ შორსაა.

საქართველოს ჰიბრიდული პოლიტიკური რეჟიმი ზოგადად მიდრეკილია პერიოდული კრიზისებისკენ და არეულობისკენ. მაგრამ ამჟამინდელი დაპირისპირება საქართველოს სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის განსაკუთრებით საზიანოა; მომავალში ეს ზიანი შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს.

მიმდინარე კრიზისის ყველაზე თვალსაჩინო ნიშანია პარლამენტის, როგორც დემოკრატიის საკვანძო ინსტიტუტის, მარგინალიზაცია. პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა გადაინაცვლა, ერთი მხრივ, დასავლელი პოლიტიკური აქტორების შუამავლობით გამართულ მოლაპარაკებებზე მართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის, მეორე მხრივ კი ქუჩის აქციებსა და შიმშილობებზე.

მიხეილ სააკაშვილის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის და ძირითადი ოპოზიციური პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ-ის) ფაქტობრივი ლიდერის, დაბრუნებამ, მისმა დაპატიმრებამ და შიმშილობამ კრიზისის გამწვავებას შეუწყო ხელი. მაგრამ თვისობრივი ცვლილება მას არ მოუტანია.

კრიზისის უფრო ღრმა ძირებს შორისაა ის გარემოება, რომ ძირითადი მოწინააღმდეგეები თავიანთ ოპონენტებს ლეგიტიმურ პოლიტიკურ მოთამაშეებად არ ცნობენ. 2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ენმ, 2004-12 წლების სახელისუფლებო პარტია, გამოაცხადა კრიმინალურ ორგანიზაციად, რომელიც პოლიტიკური ასპარეზიდან გაძევებული უნდა იყოს. მეტიც, „ქართული ოცნება“ თავს ესხმის სხვა ოპოზიციურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, დამოუკიდებელ მედიას, მისი ქმედებების მიმართ კრიტიკულად განწყობილ უცხოელ პოლიტიკოსებს და ანალიტიკოსებსაც კი, როგორც ენმ-ის ღია ან ფარულ მოკავშირეებს. მეორე მხრივ, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი ქართულ ოცნებას შეფარულად პრო-რუსულ ძალად მიიჩნევს, რომელიც პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკურ დღის წესრიგს ემსახურება.

საზოგადოების დიდ ნაწილში გამჯდარია უნდობლობა ისეთი ნომინალურად არაპარტიული ინსტიტუტების მიმართ, როგორიცაა საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლო სისტემა. არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ სამოქალაქო საზოგადოების და ანალიტიკოსების დიდი ნაწილის აზრით,

შინაარსი

ძირითადი მიგნებები

კრიზისის ქრონოლოგია

ზოგადი ფონი

ბოიკოტი და მისი შედეგები: ინსტიტუტების თუ ქუჩის პროტესტების დემოკრატია?

პოლარიზაცია და ძირითად მოთამაშეებს შორის კომუნიკაციის რღვევა

ხელისუფლება შორდება დასავლელ პარტნიორებს, ოპოზიცია მათზე გაზვიადებულ იმედებს ამყარებს

დასკვნები: რა ეტაპზეა საქართველო?

სამომავლო გზები: სცენარები და რეკომენდაციები

დანართი: პოლიტიკური კრიზისი საქართველოში და მისი შედეგები დემოკრატიისთვის. ექსპერტული კვლევის შედეგები

ქართული სახელმწიფო მიტაცებულია პარტია ქართული ოცნების მიერ, რომლის საქმიანობასაც არაფორმალურად მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი წარმართავს.

ამ ვითარებაში, ოპოზიციისა და ქართული საზოგადების გავლენიანი სეგმენტი მივიდა აზრამდე, რომ შეუძლებელია არსებული ხელისუფლების არჩევნების გზით დამარცხება, რადგან ის ყოველთვის მოახერხებს პროცესის მანიპულაციას. ეს ქმნის მოლოდინს, რომ ცვლილება შეიძლება მოიტანოს მხოლოდ მასშტაბიანმა ქუჩის პროტესტებმა, როგორც ეს მოხდა 2003 წელს საქართველოში, 2004 და 2014 წლებში უკრაინაში, ან 2018 წელს სომხეთში. მაგრამ ამ ეტაპზე ქართული საზოგადოება არ იჩენს მზაობას ხანგრძლივი მასშტაბური პროტესტისთვის.

კრიზისმა სერიოზულად დააზიანა ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლებასა და მის დასავლელ პარტნიორებს შორის. თუმცა „ქართული ოცნება“ დეკლარაციულ დონეზე ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კურსის ერთგულებას ინარჩუნებს, ის გამოკვეთილ უპატივცემულობას იჩენს საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების შეფასებებისა და რეკომენდაციების მიმართ. პირველად ბოლო ოცი წლის მანძილზე ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს საფუძვლიანი ეჭვი შეაქვთ საქართველოს ერთგულებაში განვითარების ევროპული გზის მიმართ.

ჯერჯერობით, არც ერთ ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეს ჩიხიდან გამოსვლის ხედვა არ ჩამოუყალიბებია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება უარყოფს კრიზისის თვით არსებობას. პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ინიციატივას, სათავეში ჩაუდგეს ეროვნული თანხმობის მიღწევაზე მიმართულ ინკლუზიურ პროცესს, ძირითადად სკეპტიკური გამოხმაურებები მოყვა, მათ შორის მმართველი პარტიის მხრიდან, რომლის ლიდერებმაც გაიმეორეს, რომ ენმ-ს არა აქვს პოლიტიკაში ყოფნის მორალური უფლება. ოპოზიცია არ ცნობს სტატუს-კვოს ლეგიტიმურობას, მაგრამ თავის მომხრეებს ვერ სთავაზობს სტრატეგიას, რომელსაც ცვლილების მოტანა შეუძლია.

ეს ნარკვევი პრობლემის გადაწყვეტის მზა რეცეპტებს არ მოიცავს. თუმცა სამომავლო მოვლენების წინასწარმეტყველება ძნელია, მაღალია იმის ალბათობა, საქართველოში კიდევ გაგრძელდეს დაბალი ინტენსივობის კრიზისი. ამის გათვალისწინებით, ქვეყნის პრო-დემოკრატიულმა ძალებმა და ქართული დემოკრატიის საერთაშორისო მეგობრებმა, პრობლემური ვითარებიდან გამოსვლის გზების ძიებასთან ერთად, იმაზეც უნდა იფიქრონ, როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ავტორიტარიზმისკენ უფრო მკვეთრი შემობრუნება. პარალელურად, ოპოზიციამ ცვლილებების უფრო გრძელვადიანი სტრატეგია უნდა გამოიმუშავოს.

© 2022 მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
თბილისი, 0154 აკაკი წერეთლის 72; www.cipdd.org
კონტაქტი: info@cipdd.org; +995 32 2355154

პოლიტიკის ნარკვევი მომზადდა დემოკრატიის ეროვნული ფონდის (აშშ) ფინანსური დახმარებით. მისი ავტორია გია ნოდია, ვერონიკა ჭკადუას მონაწილეობით. ტექსტი არ გამოხატავს დემოკრატიის ეროვნული ფონდის აზრს.

ნარკვევის მომზადებისას ჩატარდა პოლიტიკის ქართველ ექსპერტთა გამოკითხვა, რომლის ანგარიში თან ახლავს ამ დოკუმენტს.

კრიზისის ქრონოლოგია

31 ოქტომბერი 2020 წ. – *საქართველოში გაიმართა საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური. პროპორციულ ნაწილში მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 48.2% და 120 მანდატიდან 60 მოიპოვა. პარლამენტში ადგილები მოიპოვა ავრეთვე რვა ოპოზიციურმა პარტიამ, მათგან ყველაზე მაღალი შედეგი, 27.2%, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ (ენმ) აჩვენა.*

2 ნოემბერი 2020*: რვავე პარლამენტში მოხვედრილმა ოპოზიციურმა პარტიამ განაცხადა, რომ ლეგიტიმურად არ ცნობს არჩევნების შედეგებს, უარს ამბობს პარლამენტში შესვლაზე და მოითხოვს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. მან ასევე უარი განაცხადა მონაწილეობაზე მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში. (ამის შედეგად, ქართულმა ოცნებამ 30-ვე მაჟორიტარულ ოლქში გაიმარჯვა და, საბოლოოდ, 150-დან 90 მანდატი მიიღო).*

ნოემბერი-დეკემბერი 2020. *საქართველოში აშშ-ის და ევროკავშირის ელჩების შუამავლობით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდი გაიმართა, მაგრამ შეთანხმება ვერ შედგა. ხელისუფლებისთვის ყველაზე მიუღებელი ვადამდელი არჩევნებისა და ოპოზიციის მიერ პოლიტპატიმრებად მიჩნეული პირების განთავისუფლების მოთხოვნები იყო.*

5 იანვარი 2021. *„პატრიოტთა სიით“ გასული ოთხი დეპუტატი პარლამენტში შედის. ისინი გამოეყვნენ „პატრიოტთა ალიანსს“ და პარტია „ევროპელი სოციალისტები“ დააფუძნეს.*

29 იანვარი 2021. *პარტია „მოქალაქეებიდან“ არჩეული ორი დეპუტატი პარლამენტში შედის. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საერთო შეთანხმების მიღწევამდე, პარლამენტში ოპოზიციის მხრიდან მხოლოდ ეს ექვსი დეპუტატი შევიდა.*

23 თებერვალი 2021. *ენმ-ის ოფისში დააკავეს პარტიის ლიდერი ნიკა მელია. ბრალდებები ეხებოდა მის ქმედებებს 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს (ე.წ. „გავრილოვის ღამე“)*

1 მარტი 2021. *საქართველოში ჩამოვიდა ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე შარლ მიშელი. მან განაცხადა, რომ მზად იყო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონფლიქტის მედიაციისთვის. ორივე მხარე დაეთანხმა ამ წინადადებას.*

11 მარტი 2021. *შარლ მიშელმა პოლიტიკური დიალოგის მედიაციისთვის თავის პირად წარმომადგენლად შვედი დიპლომატი კრისტიან დანიელსონი დანიშნა. მარტსა და აპრილში დანიელსონი რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმების მისაღწევად.*

19 აპრილი 2021. *„ქართულმა ოცნებამ“ და ოპოზიციის ნაწილმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელსაც არაფორმალურად „შარლ მიშელის შეთანხმება“ დაერქვა. ის ითვალისწინებდა პოლიტპატიმრებად მიჩნეული პირების განთავისუფლებას და ხელისუფლების ვალდებულებას, 2022 წელს მოეწვია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის ოქტომბრის მუნიციპალურ არჩევნებში 43 პროცენტზე ნაკლებს მიიღებდა. ოპოზიციის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერეს ენმ-მ, ევროპულმა საქართველომ და ლეიბორისტულმა პარტიამ, თუმცა პირველმა განაცხადა, რომ მისი ლიდერის, ნიკა მელიას განთავისუფლების შემდეგ პარლამენტს შეუერთდებოდა.*

31 მაისი 2021. *ენმ-ს დეპუტაცია პარლამენტში შევიდა, თუმცა უარი განაცხადა შარლ მიშელის შეთანხმების ხელმოწერაზე, რადგან მისთვის მიუღებელი იყო მისი ის პუნქტი, რაც გულისხმობდა ყველა იმ პირის ამნისტირებას, ვისაც შეიძლება სისხლის სამართლის ბრალდება წაეყენოს 2019 წლის 20-21 ივნისის „ე.წ. გავრილოვის ღამის“ მოვლენებთან დაკავშირებით.*

28 ივლისი 2021. *„ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა, რომ „შარლ მიშელის შეთანხმებიდან“ გადის. მან ამის მიზეზად დაასახელა ის, რომ ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა პარტიამ, ენმ-მ, ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა.*

1 სექტემბერი 2021. *ენმ ხელს აწერს „შარლ მიშელის შეთანხმებას“.*

1 ოქტომბერი 2021. *დილით საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ავრცელებს ვიდეოს, სადაც ამბობს, რომ საქართველოში დაბრუნდა. სალამოს ის დააპატიმრეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მან შიმშილობა დაიწყო.*

2 ოქტომბერი 2021. საქართველოში მუნიციპალური არჩევნების პირველი ტური ტარდება. „ქართული ოცნება“ საერთო ხმების 46,7%-ს, ხოლო ენმ 30.7%-ს აგროვებს.

14 ოქტომბერი 2021. *თბილისში ტარდება მიტინგი მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლების მოთხოვნით. გავრცელებული შეფასებით, ის ყველაზე ხალხმრავალი ოპოზიციური მიტინგია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.*

30 ოქტომბერი 2021. *მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურში ენმ-ის კანდიდატი იმარჯვებს წალენჯიხის მერის არჩევნებში და მცირე განსხვავებით აგებს ქუთაისის და ბათუმის მერის არჩევნებს.*

8 ნოემბერი 2021. *სააკაშვილი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მისი ნების წინააღმდეგ გადაყვთ ციხის საავადმყოფოში.*

11 ნოემბერი 2021. *სააკაშვილი აცხადებს, რომ მზადაა დაასრულოს შიმშილობა, თუ სამოქალაქო კლინიკაში გადაიყვანენ.*

19 ნოემბერი 2021. *სააკაშვილი გადაყვთ გორის სამხედრო ჰოსპიტალში, ის წყვეტს შიმშილობას.*

21 დეკემბერი 2021. *ენმ-ის განცხადებით, მისმა დაახლოებით 180 წევრმა სააკაშვილის განთავისუფლების მოთხოვნით შიმშილობა დაიწყო.*

1 იანვარი 2022. *მიხეილ სააკაშვილის თხოვნით მისმა მომხრეებმა შიმშილობა შეწყვიტეს.*

ზოგადი ფონი

დამოუკიდებლობის თითქმის მთელ ოცდაათწლიან პერიოდში საქართველოს მმართველობითი სისტემა „ჰიბრიდული რეჟიმის“ არცთუ სახარბიელო კატეგორიაში ხვდებოდა. ამ ჰიბრიდის დემოკრატიული კომპონენტი გულისხმობს ყველა პოლიტიკური მოთამაშის მიერ დემოკრატიული ნორმების მიმართ გაცხადებულ ერთგულებას, დემოკრატიულ სტანდარტებთან, ძირითადად, შესაბამისობაში მყოფ კონსტიტუციას და კანონმდებლობას, ბრძოლისუნარიან ოპოზიციას, რომელსაც შეუძლია ხელისუფლება რეალური გამოწვევის წინაშე დააყენოს, კრიტიკულ დამოუკიდებელ მედიას, აქტიურ და კომპეტენტურ სამოქალაქო საზოგადოებას. მეორე მხრივ, მმართველობის პრაქტიკა გამოკვეთილ ავტორიტარულ ნიშნებს ატარებს. მის ცენტრშია ძლიერი ფიგურების გარშემო შექმნილი დომინანტი პარტიები, რომლებიც გადაწყვეტილებებს შეკავებისა და გაწონასწორების სისტემის გარეშე იღებენ; ხელისუფლების მიმართ მორჩილი სასამართლო, რომელიც რეჟიმის მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ გამოიყენება; საარჩევნო გარემო, რომელიც მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს არსებულ ხელისუფლებას; მის კეთილ ნებაზე დიდწილად დამოკიდებული ბიზნესი და ა. შ.

2003 წლის ვარდების რევოლუციამ, შემდეგ კი 2012 წელს ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლამ დემოკრატიის კონსოლიდაციისკენ გარღვევის მოლოდინები შექმნეს. გარკვეულ სფეროებში მართლაც მნიშვნელოვანი წინსვლა იქნა მიღწეული: კერძოდ, 2003 წელს ხელისუფლების შეცვლას მოყვა თვალსაჩინო გაუმჯობესება კარგი მმართველობის და სისტემური კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ბოლო წლებში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ უფრო დამოუკიდებელი, ქვევიდან წამოსული მოძრაობების შექმნა მოიტანა. ქალთა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვა უფრო აქტიური და, რაღაც ზომით, შედეგიანი გახდა. მაგრამ ამით პოლიტიკური სისტემის ზოგადი ხასიათი არ შეცვლილა. ხელისუფლების ყოველი ცვლილება დომინანტი ძალის სისტემის ხელახალი კონსოლიდაციით მთავრდება.

კრიზისებისკენ მიდრეკილება საქართველოს შერეული პოლიტიკური სისტემის კიდევ ერთი ზოგადი ნიშანია. თავდაპირველად, ახალმოსული ხელისუფლება საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობს, რასაც ყოველთვის მოყვება იმედგაცრუება, აპათია, შემდეგ კი – მზარდი უკმაყოფილება. როდესაც ასეთ უკმაყოფილებას თან სდევს აღქმა, რომ უსამართლო საარჩევნო გარემო არ იძლევა ხელისუფლების კონსტიტუციური წესების ფარგლებში შეიცვლის საშუალებას, იზრდება კრიზისული სიტუაციების შექმნის ალბათობა, როდესაც ოპოზიცია ხელისუფლების ქუჩის პროტესტებით განდევნას შეიძლება შეეცადოს. ორჯერ, 1992 და 2003 წლებში, ხელისუფლების ცვლა მოხდა არაკონსტიტუციური გზით, თუმცა ბოლო შემთხვევაში ფიზიკური ძალადობის თავიდან აცილება მოხერხდა. 2007 და 2009 წელს იმდროინდელი ოპოზიცია ვარდების რევოლუციის გამოცდილების გაზიარებას და ენმ-ის ხელისუფლებიდან „ქუჩიდან“ გაძევებას ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. ამ ფონზე 2012 წლის ძალაუფლების არჩევნების გზით შეცვლის პრეცედენტი გამონაკლისად გამოიყურება და არა წესის გამოვლინებად.

> კრიზისებისკენ მიდრეკილება საქართველოს შერეული პოლიტიკური სისტემის ზოგადი ნიშანია.

საქართველო ასეთი ციკლური კრიზისის შუაგულშია. თუმცა „ქართული ოცნება“ საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს, ამ მხარდაჭერას კლების ტენდენცია აქვს. ოპოზიციამ და მის მომხრეთა დიდმა ნაწილმა ლეგიტიმურად არ მიიჩნია მმართველი პარტიის გამარჯვებები 2020 წლის და 2021 წლის საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებში და მათ უჭირთ შეეგუონ აზრს, რომ ხელისუფლების შეცვლის შანსი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არ ექნებათ. მაგრამ არ ჩანს, რა შეიძლება იყოს მორიგ არჩევნებამდე მოცდის ალტერნატივა.

ბოიკოტი და მისი შედეგები: ინსტიტუტების თუ ქუჩის პროტესტების დემოკრატია?

საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას „კრიზისის“ კვალიფიკაცია მიეცა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც რვავე ოპოზიციურმა პარტიამ, რომელმაც პროპორციულ ნაწილში პარლამენტის მანდატების მოპოვება შეძლო, შედეგები გაყალბებულად გამოაცხადა, უარი თქვა პარლამენტში შესვლასა და ერთმანდატიან ოლქებში არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე. მათ მოითხოვეს ვადამდელი არჩევნები, პოლიტპატიმრებად მიჩნეული პირების განთავისუფლება და რეფორმები, რომლებიც სამართლიანი არჩევნების შესაძლებლობას შექმნიდა.[1]

ეს გადაწყვეტილება მეტად საკამათო იყო. ის ორი კუთხით შეიძლება შევაფასოთ: რამდენად საფუძვლიანი იყო არჩევნების გაყალბების ბრალდებები და რამდენად იყო მოსალოდნელი, რომ ბოიკოტის ტაქტიკა, საპარლამენტო ბრძოლის ჩვეული მეთოდების გამოყენებასთან შედარებით, ქართულ დემოკრატიას უკეთეს შედეგებს მოუტანდა.

თუმცა ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების უმრავლესობამ მნიშვნელოვანი დარღვევები დააფიქსირა, არც ერთ მათგანს არ გაუკეთებია დასკვნა, რომ მათ არჩევნების შედეგებზე გავლენა ჰქონდა.[2] ამ კვლევისთვის გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობის

აზრით, ოპოზიციამ ვერ შეძლო დამაჯერებელი არგუმენტების წარმოდგენა, რომ დარღვევების მასშტაბი საკმარისი იყო შედეგის შესაცვლელად. საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხზე გაიყო: 2021 წლის თებერვალში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა მხოლოდ 26 პროცენტი უჭერდა მხარს ბოიკოტს, 60 კი ამის წინააღმდეგი იყო. აზრთა სხვადასხვაობა ოპოზიციის მხარდამჭერებს შორისაც აღინიშნა: ენმ-ის მხარდამჭერთა 60 პროცენტი ბოიკოტს ამართლებდა, თუმცა სხვა ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერებიდან ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ 36 პროცენტი ემხრობოდა, 47 კი წინააღმდეგი იყო.[3]

ბოიკოტის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევები, როგორიცაა ამომრჩეველთა მოსყიდვა, დაშინება და შანტაჟი, არჩევნებამდე ან საარჩევნო უბნების გარეთ ხდებოდა და მათი დოკუმენტირება რთულია. გარდა ამისა, პოლიტიკურ პარტიებს და სამონიტორინგო ორგანიზაციებს აკლიათ ადამიანური რესურსები, რათა ეფექტიანად წარმართონ არჩევნების დღის მონიტორინგი. დიდი ქალაქების გარეთ მონიტორები ადგილობრივი გავლენიანი ჯგუფების ზეწოლას და დაშინებას ექვემდებარებიან.

თუნდაც თუ საფუძვლიანად ჩავთვლით ოპოზიციის შეფასებას, რომ მას არჩევნებში გამარჯვება წაართვეს, ეს ჯერ არ აქცევს ბოიკოტს კარგად გათვლილ გადაწყვეტილებად.

თავისთავად, ვარაუდი, რომ დარღვევათა ერთობლიობამ შედეგზე გავლენა მოახდინა, რაციონალურია. ოფიციალური მონაცემებით, მმართველმა პარტიამ ხმების 48.22% მოიპოვა, ხოლო რვა ოპოზიციურმა პარტიამ ერთად აღებულმა – 45.63%.[4] თუ განვიხილავთ მხოლოდ ე.წ. „პროდასავლურ ოპოზიციას“ (ანუ გამოვრიცხავთ ნეიტივისტურ და პრო-რუსულ „პატრიოტთა ალიანსს“), რომლისგანაც, არჩევნებში საერთო წარმატების შემთხვევაში, კოალიციური მთავრობის შექმნას ელოდნენ, მისი ჯამური შედეგი 42.49%-ს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, თუ ჩავთვლით, რომ „ქართული ოცნების“ მოპოვებული ხმებიდან თუნდაც რამდენიმე პროცენტი გაყალბების გზითაა მოპოვებული, შედეგის შეცვლაზე საუბარი საფუძვლიანი ხდება. მაგრამ რაციონალურ ვარაუდს და დასაბუთებულ დებულებას შორის დიდი მანძილია. გარდა ამისა, ეს გაანგარიშებები არ მოიცავს არჩევნების მაჟორიტარულ კომპონენტს, რომელიც 150-დან 30 მანდატის ბედს წყვეტდა; სახელისუფლებო პარტია, ტრადიციულად, ამ ნაწილში გაცილებით უკეთეს შედეგს აჩვენებს.

მაგრამ თუნდაც თუ საფუძვლიანად ჩავთვლით ოპოზიციის შეფასებას, რომ მას არჩევნებში გამარჯვება წაართვეს, ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმის სათქმელად, რომ ბოიკოტის გადაწყვეტილება კარგად გათვლილი იყო. ოპოზიციის რიტორიკა ემყარებოდა ვარაუდს, რომ ბოიკოტი ერთპარტიულ პარლამენტს ლეგიტიმაციის გარეშე დატოვებდა და თვალსაჩინოს გახდიდა ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის არადემოკრატიულ ბუნებას როგორც ქართული საზოგადოების, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.

თუმცა, იმისთვის, რომ პარლამენტის ლეგიტიმურობის უარყოფას პოლიტიკური შედეგი ჰქონოდა, ორი პირობიდან ერთ-ერთი მაინც უნდა შესრულებულიყო: საზოგადოებას მასობრივი აქციებით უნდა გამოეხატა სოლიდარობა ოპოზიციასთან და/ან საერთაშორისო დემოკრატიულ თანამეგობრობას გაეზიარებინა ოპოზიციის ხედვა და ხელისუფლებაზე ზეწოლა განეხორციელებინა. არც ერთი მოხდა და არც მეორე: ოპოზიციამ საკმარისად მასობრივი პროტესტების მობილიზაცია ვერ შეძლო, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობამ მოუწოდა მას, არჩევნების შედეგები მიეღო და ბრძოლა არსებული ინსტიტუტების გამოყენებით გაეგრძელებინა.[5] მალე ბოიკოტის გამოცხადების შემდეგ ორი პატარა ოპოზიციური პარტია პარლამენტში შევიდა, რამაც საშუალება მისცა ხელისუფლებას, ფორმალურად განთავისუფლებულიყო „ერთპარტიული პარლამენტის“ იმიჯისგან.[6] ამ დამატებით, პარლამენტი მოიცავდა 96 დეპუტატს 150-დან, რაც საშუალებას აძლევდა „ქართულ ოცნებას“, ემტკიცებინა, რომ პარლამენტს ყველა ძირითადი ფუნქციის შესრულება შეეძლო და „კრიზისი“ მხოლოდ ოპოზიციის წარმოსახვაში არსებობდა. „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა რაიმე დათმობაზე და ოპოზიციასთან მოლაპარაკება შეწყვიტა. ისე ჩანდა, რომ ბოიკოტის პოლიტიკამ მარცხი განიცადა.

ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც 23 თებერვალს დააპატიმრეს ენმ-ის თავმჯდომარე ნიკა მელია (2019 წლის ივნისის საპროტესტო დემონსტრაციასთან დაკავშირებით).[7] ამან შეცვალა დასავლეთის წარმოდგენა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე: ბევრმა დამკვირვებელმა დაასკვნა, რომ ხელისუფლება საქართველოს დასავლური ინტეგრაციის გზას აშორებს.[8] ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე შარლ მიშელი „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის შუამავლობის უპრეცედენტო ინიციატივით გამოვიდა. ორივე მხარე დათანხმდა მოლაპარაკების პროცესს. მიშელმა მოლაპარაკების წარმოება, მისი სახელით, გამოცდილ შვედ დიპლომატს კრისტიან დანიელსონს მიანდო.[9]

19 აპრილს მოლაპარაკების ხანგრძლივი პროცესი დასრულდა შეთანხმებით, რომელიც ანგარიშს უწევდა ოპოზიციის მოთხოვნათა უდიდეს ნაწილს. რაც მთავარია, „ქართული ოცნება“ დათანხმდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოწვევას იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის ოქტომბრის მუნიციპალურ არჩევნებზე ხმების 43 პროცენტზე მეტის მოგროვებას ვერ შეძლებდა. ოპოზიციას იმის თქმის საფუძველი მიეცა, რომ ბოიკოტის პოლიტიკამ შედეგი გამოიღო. თითქმის ყველა

ოპოზიციურმა პარტიამ შეთანხმება მიიღო და პარლამენტში შევიდა, თუმცა ენმ-მა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას დამატებით თვეზე მეტი მოანდომა. გარდა ამისა, მან უარი თქვა შეთანხმების ხელმოწერაზე, რადგან მისთვის მიუღებელი იყო კონკრეტული გზა, რითაც პოლიტპატიმრების განთავისუფლების საკითხი გადაწყდა.[10]

ჩაითვალა, რომ ამ შეთანხმებამ დაასრულა პოლიტიკური კრიზისი; ამასთან, ის ევროკავშირის საქართველოზე პოზიტიური და ქმედითი გავლენის მაგალითად მიიჩნიეს.[11] თუმცა, როგორც მომდევნო მოვლენებმა აჩვენა, ეს შეფასება ნაადრევი იყო. 28 ივლისს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მისი პარტია ხელშეკრულებიდან გადიოდა და მას ანულირებულად აცხადებდა. მან ეს გადაწყვეტილება ენმ-ის მხრიდან მის ხელმოწერაზე უარით ახსნა.[12]

ამის მიუხედავად, ოპოზიცია ბოიკოტს არ დაბრუნებია, თუმცა ამისკენ მოწოდებებიც გაისმა. ეს შეიძლება ოპოზიციის მხრიდან ამ პოლიტიკის არაეფექტურობის შეფარულ აღიარებად მივიჩნიოთ. ბოიკოტის შესაძლებლობა ოპოზიციას არც 2021 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ უხსენებია, თუმცა ძნელია მტკიცება, რომ წინა არჩევნების შემდეგ საარჩევნო პროცესის ხარისხი არსებითად გაუმჯობესდა.

მაგრამ ბოიკოტის პოლიტიკაზე უარის თქმა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ოპოზიცია „ინსტიტუტების მეშვეობით მუშაობის“ სტრატეგიას დაუბრუნდა. საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაბრუნებამ პოლიტიკური გარემო შეცვალა. მისი სავარაუდო შედეგი იყო მისი პარტიის, ენმ-ის გაძლიერება სხვა ოპოზიციურ ჯგუფებთან შედარებით, რაც მუნიციპალური არჩევნების შედეგზეც აისახა.[13] მისი განთავისუფლების მოთხოვნებმა, გარკვეულ პერიოდში კი მისმა შიმშილობამ, პოლიტიკური დღის წესრიგის ცენტრში გადაინაცვლა.[14] მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამით ოპოზიცია „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებაში გაძლიერდა.

საქართველოს პოლიტიკური კრიზისის ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი შეიძლება იმაში დავინახოთ, რომ პოლიტიკური პროცესის ცენტრმა არჩევითი ინსტიტუტებიდან საერთაშორისო შუამავლობით გამართულ მოლაპარაკებებზე, ქუჩის აქციებზე, ან ისეთ უკიდურეს მეთოდებზე გადაინაცვლა, როგორიცაა შიმშილობა. შესაძლებელია თუ არა ამ ტენდენციის შექცევა, სანამ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია? ეს სათუოა, თუ მმართველმა პარტიამ არსებითად არ შეცვალა თავისი პოლიტიკური ქცევა. თუნდაც ოპოზიციის ზოგი გადაწყვეტილება ნაჩქარევად და გაუთვლელად ჩავთვალოთ, ზოგადი აღქმა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები მიტაცებულია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობის მიერ, რომელსაც ბიძინა ივა-

საქართველოს პოლიტიკური კრიზისის ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი შეიძლება იმაში დავინახოთ, რომ პოლიტიკური პროცესის ცენტრმა არჩევითი ინსტიტუტებიდან საერთაშორისო შუამავლობით გამართულ მოლაპარაკებებზე და ქუჩის აქციებზე გადაინაცვლა.

ნიშვილის უხილავი ხელი წარმართავს, საფუძვლიანია.[15] ეს აძლიერებს განცდას, რომ მხოლოდ ამ ინსტიტუტების მეშვეობით მუშაობა შედეგს ვერ გამოიტანს. ოღონდ ჯერ არ ჩანს საგზაო რუკა, რითაც „ნორმალურ ვითარებასთან“ დაბრუნება მოხდება.

პოლარიზაცია და ძირითად მოთამაშეებს შორის კომუნიკაციის რღვევა

პოლიტიკური პოლარიზაციის ზრდა პრობლემად მიიჩნევა მრავალ ჩამოყალიბებულ დემოკრატიაში. წარმატებული დემოკრატია მოითხოვს კონკურენციას, მაგრამ აგრეთვე ურთიერთმიმღებლობას და პატივისცემას პოლიტიკურ პარტიებს შორის. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს თავშეკავების (forbearance) განწყობას და პრაქტიკას, რომლის დროსაც ძალაუფლების ბერკეტების მქონე პარტია არ ცდილობს თავისი მდგომარეობა ოპონენტის გასანადგურებლად გამოიყენოს; გარდა ფორმალური წესების დაცვისა, ის იჩენს შემწყნარებლობას საწინააღმდეგო მოსაზრებების მიმართ, რაც გინდა არასწორად მიიჩნევდეს მათ. ურთიერთმიმღებლობის და თავშეკავების ნაკლებობამ შეიძლება დემოკრატიის მთლიანი ინსტიტუციური ჩარჩოს ეროზია გამოიწვიოს.[16]

საქართველოში ურთიერთმიმღებლობის და თავშეკავების ტრადიციას არასოდეს უარსებია; ეს შესაძლოა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყოს იმისა, რომ დემოკრატიის კონსოლიდაცია არ მომხდარა. ქვეყნის პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ძალმომრეობით იქნა განდევნილი; როგორც კი ოპოზიცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის მმართველ პარტიას, ეს უკანასკნელი მის ხელთ არსებულ რესურსებს იყენებს მისი შევიწროებისთვის, რასაც ხანდახან ფიზიკური ძალადობის ეპიზოდები მოყვება.

გარდა ამისა, პოლარიზაციის ქართული ვერსია არასოდეს უკავშირდებოდა გამოკვეთილ დაპირისპირებას პოლიტიკური შეხედულებების დონეზე, რის გამოც ზოგი მკვლევარი საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის არსებობას საერთოდ უარყოფს.[17] უფრო გავრცელებულია პრაქტიკა, როდესაც პოლიტიკური მოთამაშეები ოპონენტებს კორუმპირებულად, ამორალურად, ხანდახან კი მოღალატეებად და კრიმინალეებად წარმოადგენენ. დღევანდელ დაპირისპირებაში არც ამ ნიშნითაა რაიმე პრინციპულად ახალი.

პოლარიზაციის ქართული ვერსია გაცილებით უფრო სახიფათოა განვითარებული დემოკრატიების შემთხვევებთან შედარებით, რადგან აქ სუსტია სამართლის უზენაესობის ტრადიცია და პრაქტიკულად არ არსებობს ძალაუფლების შეკავებისა და გაწონასწორების ქმედითი სისტემა. სასამართლოს არასოდეს შეეძლო მოქმედი ხელისუფლების ნების შეზღუდვა. ამიტომ აქ პოლარიზაცია მოიცავს არა მხოლოდ განსაკუთრებით მტრულ დამოკიდებულებას პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის, არამედ მმართველი პარტიის მიერ ოპოზიციის შევიწროებას სამართალდაცვის სისტემის გამოყენებით; ხშირად, მისი მომხრეები ოპოზიციის მიმართ კიდევ უფრო მკაცრ მოპყრობას მოითხოვენ.

„ქართული ოცნების" მმართველობას 2012 წლის შემდეგ არა მხოლოდ თან ახლდა ყველა აღწერილი ნიშანი; შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან, წინამორბედებთან შედარებით, უფრო მაღალ დონეზე აიყვანა სამართალდაცვის სისტემის გამოყენება საკუთარი ოპონენტების წინააღმდეგ. ძალაუფლებაში მოსვლის დღიდან მმართველი პარტია ღიად აცხადებდა, რომ მისი მიზანია არა მხოლოდ მისი წინამორბედის, ენმ-ის, არჩევნების გზით დამარცხება, არამედ მისი, როგორც „კრიმინალური" ძალის, პოლიტიკური ველიდან განდევნა.[18] მრავალრიცხოვანი სისხლის სამართლის საქმე ენმ-ის ლიდერების ან სხვა წევრების წინააღმდეგ ფართოდ აღიქმებოდა შერჩევითი სამართლის ნიმუშად.[19] იმისდა მიუხედავად, რამდენად საფუძვლიანია ვარაუდი, რომ ენმ-ის ზოგიერთმა ლიდერმა ხელისუფლებაში ყოფნისას კანონი დაარღვია, „ქართული ოცნების" რიტორიკა არ ტოვებდა ეჭვის საფუძველს, რომ მათი ქმედებები პოლიტიკური ანგარიშსწორების მოტივით იყო ნაკარნახევი, ხოლო მისი გავლენა სასამართლო სისტემაზე არ იძლეოდა საქმეების სამართლიანი განხილვის იმედს.

პოლარიზაციის ქართული ვერსია გაცილებით უფრო სახიფათოა განვითარებული დემოკრატიების შემთხვევებთან შედარებით, რადგან აქ სუსტია სამართლის უზენაესობის ტრადიცია და არ არსებობს ძალაუფლების შეკავების და გაწონასწორების ქმედითი სისტემა.

ბოლო ორი თუ სამი წლის განმავლობაში ეს ტენდენცია კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა. თუმცა ენმ-მ, ხელისუფლების მხრიდან დევნის და დემონიზების პირობებში, მაღალი მედეგობა გამოიჩინა და არჩევნებზე ხმების მეოთხედსა და მესამედს შორის მოიპოვებს, რაც მას ცალსახად წამყვან ოპოზიციურ პარტიად აქცევს, პოლიტიკური ველიდან მისი გაქრობის მოთხოვნები „ქართული ოცნების" საჯარო რიტორიკაში მუდმივად მეორდება, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდებში.[20] გარდა ამისა, „ქართული ოცნების" საჯარო გამოსვლებში თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია, როგორც წესი, ერთად მოიხსენიება, რაც ნიშნავს, რომ ენმ-ის მიმართ დამოკიდებულება მათზეც ვრცელდება. გიორგი გახარიაც კი, „ოცნების" ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი 2021 წლის თებერვლამდე, მოგვიანებით კი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, მმართველმა პარტიამ, ყოველგვარი საბუთის გარეშე, მიხეილ სააკაშვილის ფარულ თანამზრახველად გამოაცხადა.[21] ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ გახარია მმართველ პარტიას მეტად რბილი ფორმით აკრიტიკებდა, ხოლო ენმ-ის მიმართ გაცილებით უფრო მკაცრ ენას იყენებდა.[22]

ბოლო წლებში „ქართული ოცნება" გაცილებით უფრო კონფრონტაციული გახდა დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართაც. რამდენიმე ძირითადი დამოუკიდებელი სატელევიზო არხის და მათი ლიდერების წინააღმდეგ ფინანსური და პოლიტიკური ზეწოლა განხორციელდა. კერძოდ, დამოუკიდებელი მედია-კომპანიების, ტვ პირველის და მთავარი არხის მფლობელთა მიმართ სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო.[23] გარდა ამისა, ბოლო წლებში არაერთმა ჟურნალისტმა ფიზიკური დაზიანება მიიღო პოლიციის მხრიდან ქუჩის აქციების დროს.[24] 2021 წლის ივლისში ანტი-LGBTQ პროტესტების დროს ორმოცდაათზე მეტი ჟურნალისტი, რომელიც ამ მოვლენებს აშუქებდა, ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაფთრებული შეტევების ობიექტი გახდა, პოლიცია კი ამ მოვლენებს აკვირდებოდა და არ ჩარეულა. თუმცა რამდენიმე დამნაშავე მომდევნო დღეებში დააკავეს, „ქართული ოცნების" ლიდერებმა მომხდარზე პასუხიმგებლობა მეტ-ნაკლებად თანაბრად გადაანაწილეს ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებზე, გეი-პრაიდის ჩაშლილი ღონისძიების ორგანიზატორებზე და ჟურნალისტებზე; ამ უკანასკნელებს „რადიკალური ოპოზიციის" (ანუ ენმ-ის) ფარული თანამზრახველობა დაბრალდა.[25] 2019 წელს „ფეისბუქმა" რამდენიმე ასეული ყალბი ანგარიში გააუქმა, რომლებიც, სავარაუდოდ, ხელისუფლებას უკავშირდებოდა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე თავდასხმას და მათ დისკრედიტაციას ემსახურებოდა.[26] სახალხო დამცველი ნინო ლომჯარიაც კი მიხეილ სააკაშვილის თანამზრახველად გამოაცხადეს იმის გამო, რომ მან, ამ უკანასკნელის შიმშილობის პერიოდში, მის მიმართ უფრო ჰუმანური დამოკიდებულება მოითხოვა.[27]

მეორეს მხრივ, ოპოზიცია მმართველ პარტიას მუდმივად მოიხსენიებს საქართველოში რუსეთის ინტერესების, ხანდახან კი – რუსეთიდან მოსული ბრძანებების გამტარებლად. ეს რიტორიკა ახასიათებს არა მხოლოდ ენმ-ს, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის „რუსეთის კაცად" წარმოადგინა მაშინვე, როგორც კი მან 2011 წლის ოქტომბერში ოპოზიციური პარტია შექმნა; მას იზიარებს ბევრი სხვა მოქალაქე, ვინც შეიძლება ენმ-ის მომხრე სულაც არ იყოს. თუმცა, ეს ბრალდებები პირდაპირ საბუთებს არ ემყარება. ხელისუფლების სხვა კრიტიკოსების აზრით, „ქართული ოცნების" პოლიტიკის შედეგები ობიექტურად რუსეთის ინტერესებს შეესაბამება იმით, რომ ქვეყანას სულ უფრო აშორებს დასვლეთს (ამაზე იხ. შემდეგ მონაკვეთში).

როგორც არ უნდა შევაფასოთ ამ ბრალდებების საფუძვლიანობა, თვით ის ფაქტი, რომ ისინი ფართოდაა გავრცელებული ოპოზიციასა და მის მომხრეებში, აჩვენებს, რომ ოპონენტის ლეგიტიმურ მოწინააღმდეგედ არაღიარების ტენდენცია ორმხრივია. თუმცა, ამის თქმა არ ნიშნავს, რომ ორივე მხარე თანაბრად აგებს პასუხს არსებულ ტოქსიკურ პოლარიზაციაზე: საერთო გარემოს სწორედ ხელისუფლება განსაზღვრავს იმით, რომ ოპოზიციის ლეგიტიმურობას უარყოფს და ამ მიუღებლობას სამოქალაქო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიაზე ავრცელებს.

ოპონენტის ლეგიტიმურობის ეს ორმხრივი არაღიარება მხარეებს შორის კომუნიკაციის თითქმის სრულ მოშლას განაპირობებს. ბოლო პერიოდში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდა, რაც დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას პირდაპირ საფრთხეს უქმნის. პარლამენტი, როგორც პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენციის და თანამშრომლობის ასპარეზი, ყველაზე თვალსაჩინო მსხვერპლია. ამ მხრივ, შემოტრიალების პუნქტად შეიძლება მივიჩნიოთ არა ოპოზიციის მიერ 2020 წლის ნოემბერში მიღებული გადაწყვეტილება პარლამენტის ბოიკოტზე, არამედ ერთი წლით ადრე განვითარებული მოვლენები, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ არ შეასრულა თავისი საჯარო დაპირება, 2020 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემა მთლიანად პროპორციულად ექცია, რასაც ოპოზიციის მოთხოვნების და ქცევის რადიკალიზაცია მოყვა.[28] ამის შემდეგ ოპოზიცია მხოლოდ ეპიზოდურად იღებდა მონაწილეობას პარლამენტის მუშაობაში და პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრმა ქუჩაში გადაინაცვლა.

პარლამენტი აღარ იყო მმართველი და ოპოზიციური პარტიების ურთიერთობის ძირითადი ასპარეზი; მათ შორის მოლაპარაკებები მხოლოდ დასავლეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა შუამავლობით იმართებოდა. მაგალითად, 2020 წლის მარტში მიღწეულ შეთანხმებას საარჩევნო სისტემის ცვლილებების შესახებ აშშ ელჩის რეზიდენციაში მოეწერა ხელი.[29] 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც მოლაპარაკებები მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დასავლელი ელჩების შუამავლობით წარიმართა;[30] ისინი ჩაიშალა, მაგრამ მოლაპარაკების პროცესი განახლდა მას შემდეგ, რაც შარლ მიშელი პირადად ჩამოვიდა საქართველოში და მხარეებს მედიაცია შესთავაზა.[31] ყოველივე ამან აჩვენა, რომ ხელისუფლებას და ოპოზიციას, დასავლელი პარტნიორების ჩარევის გარეშე, არ გააჩნია ერთმანეთთან ლაპარაკის ნება. საბოლოოდ, შარლ მიშელის ხელშეკრულების ჩაშლამ დასავლეთის შუამავლობით წარმოებული დიალოგის დისკრედიტაციაც გამოიწვია.

2021 წლის ბოლოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პოლიტიკური პროცესის ნორმალიზაციის მიზნით, ეროვნული თანხმობის მიღწევის „ინკლუზიური პროცესის“ წარმართვა ითავა.[32] მაგრამ მისმა ინიციატივამ ძირითადად სკეპტიკური რეაქცია გამოიწვია. ამის სერიოზული საფუძველი არსებობს. პრეზიდენტის ნაბიჯის საპასუხოდ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ენმ-ს არა აქვს პოლიტიკაში ყოფნის მორალური უფლება.[33] ამ წანამძღვრის ფონზე ზედმეტია რაიმე სახის „ინკლუზიურ დიალოგზე“ საუბარი. პრეზიდენტის ინიციატივა მაინც მისასალმებელია, რამდენადაც მან არსებული მდგომარეობა არანორმალურად აღიარა და მხარეებს ურთიერთპატივისცემაზე აგებული ურთიერთობის დამყარებისკენ მოუწოდა; მაგრამ არსებულ პირობებში ძნელია, მისგან ხელშესახებ შედეგებს ველოდოთ.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ, თუმცა საქართველოს კონტექსტში პოლიტიკური პოლარიზაციის ცნების გამოყენება გამართლებულია, ის არ ასახავს იმ პრობლემის სიღრმეს, რის წინაშეც საქართველოს დემოკრატიის პროექტი დგას. დაპირისპირებულ პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის კომუნიკაციის თითქმის სრული მოშლა, პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაბალ დონესთან ერთად, ქმნის უკიდურესად სახიფათო სიტუაციას, რომელმაც სერიოზული საფრთხე შეიძლება შეუქმნას ქვეყნის საერთო სტაბილურობას ან ის მზარდი ავტორიტარიზმის გზით წაიყვანოს.

ხელისუფლება შორდება დასავლელ პარტნიორებს, ოპოზიცია მათზე გაზვიადებულ იმედებს ამყარებს

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოსთვის მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური არჩევანი არასოდეს ყოფილა: ეს დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა. იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტები და პრაქტიკები ვერ უზრუნველყოფს შეკავებისა და გაწონასწორების სათანადო სისტემის არსებობას, დასავლეთის გავლენა ქართულ პოლიტიკაში გარკვეულ შემაკავებელ როლს ასრულებს. მაგრამ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მიმდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს და მის დასავლელ პარტნიორებს შორის ურთიერთობებს. ეს ქართული დემოკრატიული პროექტისთვის მეტად საზიანოა.

> მიმდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოსა და მის დასავლელ პარტნიორებს შორის ურთიერთობებს.

2021 წლის აპრილის „შარლ მიშელის ხელშეკრულებამ“, ერთი შეხედვით, დაადასტურა მოსაზრება,

რომ დასავლეთს, ამ შემთხვევაში ევროკავშირით წარმოდგენილს, საქართველოში ძლიერი და კეთილისმყოფელი გავლენა აქვს: მისი შუამავლობა ქართველ პოლიტიკოსებს მძიმე კრიზისიდან გამოსვლაში დაეხმარა. ეს უნდა გამხდარიყო პოზიტიური პრეცედენტი, რომელმაც აჩვენა, რომ, ერთი მხრივ, ევროკავშირს მეტად უღირს ქართული დემოკრატიის წარმატება, და, მეორე მხრივ, ქართული პოლიტიკური კლასი გახსნილია ევროპიდან მოსული რეკომენდაციების მისაღებად. ეს შეთანხმება შეიძლებოდა ქცეულიყო ერთგვარ საგზაო რუკად, რომელიც კრიზისს დემოკრატიის პროგრესის შანსად აქცევდა.

მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა ეს იმედები გააქარწყლა. „ქართული ოცნების" გადაწყვეტილებამ, გამოსულიყო შეთანხმებიდან, დარტყმა მიაყენა არა მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს, არამედ ნდობას ქართულ პოლიტიკურ კლასსა და დასავლეთს შორის. მმართველმა პარტიამ თავისი ნაბიჯი გაამართლა ენმ-ის უარით, დოკუმენტზე ხელი მოეწერა. მალე ამის შემდეგ შარლ მიშელმა შეთანხმების ჩაშლაში ორივე მხარე დაადანაშაულა.[34] თუმცა, დასავლელი პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების უმრავლესობამ ძირითადი პასუხიმგებლობა მმართველი პარტიის ხელმძღვანელობას დააკისრა.[35]

ქართულ ოპოზიციასა და დასავლელ პარტნიორებს ასევე არსებითად განსხვავებული ხედვა აქვთ ბევრ საკითხზე.

ამ ეპიზოდამდე, თუმცა „ქართული ოცნების" ხელისუფლება თანმიმდევრულად არასოდეს მიყვებოდა ევროკავშირის ან შეერთებული შტატების რჩევებს, ის თავს არიდებდა მათთან აშკარა უთანხმოებას. ხანდახან, „ქართულ ოცნებას" არსებითად შეუცვლია პოზიციები დასავლური რეკომენდაციებიდან გამომდინარე, როგორც ეს მოხდა თუნდაც მიშელის მიერ შუამავლობის შეთავაზების შემდეგ: ამ მომენტამდე მმართველი პარტია უარყოფდა ოპოზიციის მიმართ არა მხოლოდ რაიმე დათმობების, არამედ მასთან დიალოგის შესაძლებლობასაც კი.[36] მაგრამ მიშელის ჩამოსვლის შემდეგ ის დიალოგსაც დათანხმდა და დათმობებზეც წავიდა.

შეთანხმების ანულირების გადაწყვეტილება, რა მოტივებითაც არ უნდა მომხდარიყო ის, გარდამტეხ მომენტად იქცა, რის შემდეგაც ურთიერთგაუცხოების ზოგადი ტენდენცია უფრო ნათლად გამოიკვეთა. აგვისტოში საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა 75 მილიონი ევროს შეღავათიან სესხზე იმ საბაბით, რომ ქვეყნის ეკონომიკა მოსალოდნელზე სწრაფად იზრდებოდა და სესხი საჭირო აღარ იყო.[37] თუმცა, ევროკავშირმა შენიშნა, რომ სესხის გაცემა უკავშირდებოდა გარკვეულ პირობებს სასამართლოს რეფორმის სფეროში, რაც ხელისუფლებამ ვერ შეასრულა.[38] აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებამ დასწრო ევროკავშირის უარს სესხის გაცემაზე, რაც მის სანქციონირებად იქნებოდა აღქმული. ზოგადად, ხელისუფლების ლიდერების ტონი ევროპელი პარტნიორების მიმართ უფრო კონფრონტაციული გახდა, მათი რჩევები კი ხაზგასმით იყო იგნორირებული. ზოგ შემთხვევაში, „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ღიად შეუტია ევროკავშირის და შეერთებული შტატების ელჩებს.[39]

ამან ხელისუფლების ქართველ კრიტიკოსებს და საერთაშორისო პოლიტიკოსებსა და ანალიტიკოსებს უბიძგა, დაესვათ კითხვა, ხომ არ გადაუხვია საქართველომ პროდასავლური გზიდან, რაც ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მისი პოლიტიკის ქვაკუთხედს შეადგენდა.[40] თუმცა, შეცვლილი რიტორიკის მიუხედავად, „ქართული ოცნება" მაინც ინარჩუნებს დეკლარაციულ ერთგულებას პრო-დასავლური კურსის მიმართ.

მეორეს მხრივ, გამოჩნდა, რომ ქართულ ოპოზიციასა და დასავლელ პარტნიორებს ასევე არსებითად განსხვავებული ხედვა აქვთ ბევრ საკითხზე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა, როდესაც ამ უკანასკნელებმა ცალსახად გააკრიტიკეს ოპოზიციის გადაწყვეტილება პარლამენტის ბოიკოტის შესახებ. მათი აზრით, ოპოზიციამ ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი საბუთები იმისა, რომ საარჩევნო დარღვევებმა, რაც გინდა სერიოზული ყოფილიყო ისინი, არჩევნების შედეგი შეცვალა. გარდა ამისა, არ ჩანდა, რის მიღწევას ცდილობდა ოპოზიცია ბოიკოტის პოლიტიკით. ამ პერიოდში, ერთი მხრივ, ქართული დემოკრატიის დასავლელი მეგობრები და, მეორე მხრივ, ქართული ოპოზიცია, უკიდურესად იმედგაცრუებულნი იყვნენ ერთმანეთის შეხედულებებით. მიუხედავად ამისა, ოპოზიცია მუდმივად ადასტურებდა დასავლური ინტეგრაციის კურსის და ლიბერალური დემოკრატიის ნორმებისა და ინსტიტუტების მიმართ ურყევ ერთგულებას.

გაუცხოების ტენდენციას მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებამაც შეუწყო ხელი. ეს მოხდა მისი დასავლელი მეგობრების რჩევის საპირისპიროდ, რომელთაც არ ესმოდათ, რა სარგებელი უნდა მოეტანა ამ ნაბიჯს პირადად მისთვის ან ქართული დემოკრატიისთვის. თუმცა დასავლეთი სათანადოდ აფასებს სააკაშვილის როლს საქართველოში განხორციელებულ ფუნდამენტურ რეფორმებში, წარმოდგენა, რომ ბოლო წლებში ის პოლიტიკური პოპულიზმისკენ და ბრძოლის რადიკალური მეთოდების მხარდაჭერისკენ გადაიხარა, სერიოზულად აკნინებს მის პრესტიჟს.[41] მეორე მხრივ, ფაქტია, რომ ენმ, დიდწილად სააკაშვილის პიროვნების გარშემო მობილიზებული პარტია, ოპოზიციის ბანაკში ცალსახა ლიდერად რჩება. დასავლეთში გავრცელებულია აზრი, რომ ორი ურთიერთდაპირისპირებული პერსონის, ბიძინა ივანიშვილის და მიხეილ სააკაშვილის, ცენტრალური როლი ქართულ პოლიტიკაში ზიანს აყენებს ქართული დემოკრატიის პერსპექტივებს.[42]

შარლ მიშელის შეთანხმების წარუმატებლობამ შთაბეჭდილება დატოვა, რომ დასავლელი პარტნიორები ზოგადად იმედგაცრუებულნი არიან საქართველოს პოლიტიკური ვითარებით და აღარ სურთ, ჩაერთონ ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებში.[43] მათ განწყობას ხშირად გამოხატავენ გამოთქმით „საქართველოთი დაღლილობა." დემოკრატიის სფეროში საქართველოს უკუსვლით გამოწვეული შეშფოთების გარდა, არსებობს წარმოდგენა, რომ ქართულ ოპოზიციას არარეალისტური მოლოდინები აქვს იმაზე, რომ დასავლეთი გადამწყვეტ როლს ითამაშებს ქვეყნის შიდა პრობლემების გადაწყვეტაში. გაზვიადება იქნება იმის თქმა, რომ დასავლეთმა დაკარგა ინტერესი საქართველოს მიმართ, მაგრამ არ უნდა ველოდოთ, რომ ის მიმდინარე კრიზისის გადაწყვეტაში ცენტრალურ როლს ითამაშებს.

დასკვნები: რა ეტაპზეა საქართველო?

პოლიტიკური კრიზისი თანდათან საქართველოსთვის ნორმალურ მდგომარეობად იქცევა.[44] ქართულ საზოგადოებაში არსებული ღრმა უთანხმოებები შეეხება არა კონკრეტულ პოლიტიკებს (ამაზე დისკუსიები თითქმის არ მიმდინარეობს), არამედ პოლიტიკური ცხოვრების ძირეულ წესებს. ეს აფერხებს საკვანძო დემოკრატიული ინსტიტუტების, უპირველეს ყოვლისა პარლამენტის, ფუნქციონირებას.

თუმცა ტერმინი „პოლარიზაცია" საქართველოს მიმდინარე პრობლემების აღწერისას ყველაზე პოპულარული ტერმინი გახდა,[45] ის ადექვატური არაა პრობლემის არსის და სიღრმის გამოსავლენად. ზოგი ანალიტიკოსს ეჭვიც კი შეაქვს საქართველოში ასეთი პოლარიზაციის არსებობაში იმის საფუძველზე, რომ ორივე მხარის მომხრეები ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისგან საჯარო პოლიტიკის პრობლემების შეფასების მხრივ.[46] ეს ტერმინი საქართველოს რეალობაში განვითარებული დემოკრატიების ბოლოდროინდელი ტენდენციების ანალიზიდან გადმოვიდა, სადაც გაჩნდა შიში, რომ უკიდურესმა პოლარიზაციამ საკვანძო დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობას შეიძლება შეუქმნას საფრთხე. მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, ასეთი ინსტიტუტები დამკვიდრებული არც ყოფილა.

თუმცა საქართველოს კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება საარჩევნო დემოკრატიის სტანდარტებს, ღრმად გამჯდარი საზოგადოებრივი განწყობები და პოლიტიკური პრაქტიკები შეუძლებელს ხდის თანასწორ პოლიტიკურ კონკურენციას და სახელისუფლებო პარტიების რუტინულ ცვლას. ამ განწყობებსა და პრაქტიკებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ოპონენტების დელეგიტიმაცია და საარჩევნო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა. ეს პერიოდულ პოლიტიკურ კრიზისებს ფაქტობრივად გარდუვალს ხდის.

საქართველოში ძირითადი პოლიტიკური კონკურენტები, როგორც წესი, ერთმანეთს კანონიერ მოთამაშეებად არ ცნობენ. ოპონენტებს არ აკრიტიკებენ არასწორი წარმოდგენისთვის იმაზე, თუ რა მოიტანს საზოგადო სიკეთეს; მათ მოღალატეებად, კრიმინალებად ან ღრმად კორუმპირებულად მიიჩნევენ.

პოლიტიკური კრიზისი თანდათან საქართველოსთვის ნორმალურ მდგომარეობად იქცევა.

მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირება ამ ზოგადი ტენდენციის მაგალითია, თუმცა ის განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა. თუ ენმ „ქართულ ოცნებას" რუსეთთან, ანუ ქვეყნისთვის ეგზისტენციალური საფრთხის წყაროსთან, ფარულად გარიგებულ ძალად წარმოადგენს, „ქართული ოცნება" ძირითად ოპოზიციურ პარტიას მუდმივად მოიხსენიებს კრიმინალურ ორგანიზაციად, რომელსაც პოლიტიკაში ყოფნის მორალური უფლება არ გააჩნია. მეტიც, ენმ-თან კონკრეტულ საკითხზე შეთანხმებული ოპოზიციური პარტიები, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია, დასავლელი პოლიტიკოსები ან სახალხო დამცველიც კი ენმ-თან, ანუ კრიმინალურ ორგანიზაციასთან ასოცირებულად ცხადდებიან.

საქართველოში პოლიტიკურ ოპონენტებს არ აკრიტიკებენ არასწორი წარმოდგენისთვის იმაზე, თუ რა მოიტანს საზოგადო სიკეთეს; მათ მოღალატეებად, კრიმინალებად ან ღრმად კორუმპირებულად მიიჩნევენ.

ასეთი დაშვებების ფონზე, პოლიტიკური ოპონენტების მიმართ კანონისა და სამართლიანობის საზღვრების დარღვევა უფრო ლეგიტიმური ჩანს. მმართველი პარტია ოპოზიციის მიმართ უსამართლო და ხშირად უკანონო მეთოდებს იყენებს; ეს უფრო თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც მისი საზოგადოებრივი მხარდაჭერა შემცირდა და ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე რეალური გახდა. ამგვარი მეთოდების გამოყენება, თავის მხრივ, ლეგიტიმურ ეჭვებს ბადებს არჩევნების შედეგების მიმართ. ასეთ პირობებში, ოპოზიცია, როგორც წესი, არჩევნებში მარცხს გაყალბებას და უთანაბრო პირობებს აბრალებს იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა საკმარისი საბუთები ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად. ამასთან, ობიექტურად რთული ხდება იმის გაზომვა, რამდენად ზემოქმედებს საარჩევნო დარღვევები მათ შედეგებზე. ოპოზიციის მომხრეთა დიდ ნაწილს სკეპტიციზმი უჩნდება იმასთან დაკავშირებით, ზოგადად რამდენად რეალისტურია არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა და ქუჩის აქციებით ხელისუფლებაზე ზეწოლას ანიჭებს უპირატესობას.

ხელისუფლების ცვლის ყველა შემთხვევას საქართველოში განსაკუთრებით ღრმა პოლიტიკური

პოლარიზაციის პერიოდები უსწრებდა წინ, რასაც თან ახლდა პოლიტიკური ოპონენტების შევიწროება, პერიოდული პოლიტიკური ძალადობა და არეულობის მოლოდინი, ხანდახან კი ხელისუფლების ქუჩის აქციებით შეცვლის მცდელობა. 2012 წლის ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლასაც მწვავე პოლარიზაცია და დესტაბილიზაციის მოლოდინი უსწრებდა წინ. ამ ნიშნით, მიმდინარე კრიზისი საქართველოს ჰიბრიდული რეჟიმისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ციკლის „ნორმალური“ სტადიაა.

როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ასეთ კრიზისს? გამოსავლის ძიებისას, ანალიტიკოსები და აქტივისტები ორგვარი ცთუნების წინაშე დგანან. ერთია ყურადღების გადატანა ღრმად გამჯდარ სტრუქტურულ პრობლემებზე, მაგალითად, იმაზე, რომ უმრავლესობას ლიდერებისა სწამს და არა ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება სუსტია, საჯარო პოლიტიკის პრობლემებზე დისკუსია იშვიათია, პოლიტიკურ მოთამაშეებში ურთიერთპატივისცემისა და თავშეკავების კულტურა არ დამკვიდრებულა და ა.შ. თუმცა ამ პრობლემების სერიოზულობა ეჭვს არ იწვევს, მათი მოკლევადიან პერსპექტივაში გადაწყვეტა შეუძლებელია, კრიზისიდან გამოსვლა კი მიმდინარე პოლიტიკის ამოცანაა.

მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლამ კიდევ უფრო დაამკვიდრა ენმ-ის დომინანტი პოზიცია ოპოზიციის შიგნით, მაგრამ ოპოზიცია ხელისუფლებასთან მიმართებაში ვერ გააძლიერა.

მეორე საკანონმდებლო რეფორმების გაზვიადებული იმედია. თუმცა არსებობს სივრცე საქართველოს კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად, შეუძლებელია მხოლოდ კანონების შეცვლით უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებელი სასამართლოს და სამართლიანი საარჩევნო ადმინისტრაციის ჩამოყალიბება, ოპოზიციაზე ზეწოლის გამორიცხვა და საქართველოში დემოკრატიის სხვა საკვანძო გამოწვევების დაძლევა.

საჭიროა მოხილვადი მომავლისთვის რეალისტურ სცენარებზე ფოკუსირება. ამ მომენტისთვის ჯერ არ ჩანს საგზაო რუკა, რომელიც მიმდინარე კრიზისიდან გამოსვლის გზას აჩვენებს. 2024 წლამდე ახალი არჩევნები მოსალოდნელი არ არის. მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლამ არჩევნების წინა დღეს, მისმა დაპატიმრებამ, შიმშილობამ და გასამართლებამ, სიტუაციას დაძაბულობა შემატა, მაგრამ პრინციპული ცვლილება არ მოუტანია. მან კიდევ უფრო დაამკვიდრა ენმ-ის დომინანტი პოზიცია ოპოზიციის შიგნით, მაგრამ ოპოზიცია ხელისუფლებასთან მიმართებაში ვერ გააძლიერა.

თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოს პოლიტიკური გაურკვევლობისა და დაძაბულობის შედარებით ხანგრძლივი პერიოდი შეიძლება ელოდოს. სამომავლო განვითარების ნებისმიერი სცენარი გულისხმობს პოლიტიკური პოლარიზაციის გაგრძელებას, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის და მიხეილ სააკაშვილის გარშემო არსებული ორი პოლიტიკური ძალა დაუპირისპირდება ერთმანეთს. ბოლო ორ არჩევნებში ამ ორმა პარტიამ ერთად აღებულმა შესაბამისად ხმების 75.4 და 77.3 პროცენტი აიღო (პროპორციულ ნაწილში)[47]. აქედან ჩანს, რომ ქართველების დიდი უმრავლესობა არჩევანს ამ ორ ძირითად მოთამაშეს შორის ხედავს. პოლიტიკური აქტორები, რომლებიც „მესამე ძალის“ ბრენდისთვის იბრძვიან, ჯერჯერობით მაღალ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ. ორივე ძირითადი მოთამაშის მიმართ კრიტიკულად განწყობილ ანალიტიკოსებს და აქტივისტებს ასეთი „მესამე ძალების“ გაძლიერება სურს; თუ ეს მოხდა, ამან შესაძლოა პოზიტიური გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ სიტუაციაზე. მაგრამ სამომავლო სტრატეგიის ასეთ ნაკლებ ალბათურ დაშვებაზე დაყრდნობა მას არარეალისტურად აქცევს.

აქედან არ გამომდინარეობს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრულია, რომ ახალ მთავრობას ენმ შექმნის. ამის წინასწარმეტყველება შეუძლებელია, ხოლო ენმ-ის ლიდერებმა არაერთხელ მიანიშნეს, რომ სხვა პარტიებთან კოალიციისთვის მზად არიან. მიხეილ სააკაშვილის მიუღებლობა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ანგარიშგასაწევ ფაქტორად რჩება. მაგრამ ამ მომენტისთვის, შეუძლებელია ოპოზიციის სამომავლო წარმატებაზე საუბარი ენმ-ის მნიშვნელოვანი როლის გარეშე.

სამომავლო გზები: სცენარები და რეკომენდაციები

კრიზისი გრძელდება და ჯერჯერობით ნაადრევია მის შედეგზე ლაპარაკი. ამ მომენტისთვის, მდგომარეობა ჩიხური ჩანს. ხელისუფლება ცდილობს, ვითარება „ნორმალურად“ წარმოადგინოს, თუმცა ეს დამაჯერებელი არ არის. ენმ-ის პოლიტიკური სივრციდან გაძევება მის გაცხადებულ მიზნად რჩება, მაგრამ ის ამას ვერ ახერხებს. თავის მხრივ, ოპოზიცია უარს ამბობს, არსებული მდგომარეობა ლეგიტიმურად ცნოს, მაგრამ თავის მომხრეებს მისი შეცვლის გეგმას ვერ სთავაზობს.

როგორ შეიძლება მოვლენები ამ საწყისი წერტილიდან განვითარდეს? ყველაზე სასურველია, რომ ორივე მხარემ (ოპოზიციის მხარეს ვგულისხმობთ როგორც ენმ-ს, ისევე სხვა ოპოზიციურ ძალებს) აღიაროს ჩიხში ყოფნის რეალობას და ერთობლივად შეეცადოს მოლაპარაკების გზით გამოსავლის მონახვას არსებული კონსტიტუციური ნორმების ფარგლებში. პრეზიდენტ ზურაბიშვილის ეროვნული თანხმობის ინიციატივა ასეთი მცდელობისთვის ადექვატური ფორმატი შეიძლება გახდეს. თუმცა,

მოვლენათა ამგვარი განვითარების ალბათობა ამ ეტაპზე მეტად დაბალია.

გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა შეიძლება კრიზისის გამწვავება გამოიწვიოს, რითაც როგორც ახალი საფრთხეები, ისე შესაძლებლობები შეიქმნება. საფრთხე იმაშია, რომ ხელისუფლება ასეთ გამწვავებას ოპოზიციისა და მისი მოკავშირეების, პირველ რიგში დამოუკიდებელი მედიის, შემდგომი შევიწროებისთვის გამოიყენებს. ამით არსებითად შეიკვეცება არსებული თავისუფლებების დონე და ქვეყნის პოლიტიკური სისტემა შეიძლება ჰიბრიდულიდან ავტორიტარულად იქცეს. „ქართული ოცნების“ მხრიდან ოპოზიციის კრიმინალურ ძალად გამოცხადება და მისი არსებობის უფლების ეჭვის ქვეშ დაყენება, სამართალდაცვის სისტემის ოპონენტების წინააღმდეგ სისტემური გამოყენება, საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობიდან მომდინარე რეკომენდაციების იგნორირების მზარდი ტენდენცია ასეთი სცენარის გამორიცხვის საშუალებას არ გვაძლევს. მეორეს მხრივ, ქართული ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი მედიის მედეგობა იძლევა იმედს, რომ მკვეთრი ავტორიტარული შემობრუნების საფრთხე თავიდან აცილებული იქნას.

ვითარების ჰიპოთეტური გამწვავების მეორე სავარაუდო შედეგია ვადამდელი არჩევნები და ახალი, შესაძლოა, კოალიციური მთავრობის შექმნა. ეს დაასრულებდა არსებულ პოლიტიკურ ციკლს და დემოკრატიული პროგრესის ახალ შესაძლებლობებს გახსნიდა. ამ ეტაპზე, ამგვარი სცენარის განხორციელების წინაპირობა არ ჩანს.

თუ არ განხორციელდა რომელიმე ზემოხსენებული, დაბალი ალბათობის მქონე სცენარი, საქართველოს შეიძლება არსებული სანახევრო სტაბილურობის სტადიაზე დარჩენა ელოდოს. ჯერჯერობით, კრიზისმა წარმომადგენლობითი დემოკრატიის საკვანძო ინსტიტუტები მოიცვა, მაგრამ სახელმწიფო მმართველობის რუტინული პროცესები არსებითად შეუფერხებლად მიმდინარეობს; თუ ასე გაგრძელდა, ხელისუფლებას საშუალება ექნება, კრიზისის თვით არსებობა უარყოს. ეს უკანასკნელი სცენარი უფრო სავარაუდოა, მაგრამ, აგრეთვე, მეტად საზიანოც, რადგან ის დიდი ალბათობით გულისხმობს არსებული დემოკრატიული მიღწევების თანდათანობით ეროზიას და დასავლეთისგან კიდევ უფრო მეტად დაშორებას.

ამ ვითარებაში დემოკრატიის მხარდამჭერთა ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ მიმდინარე კრიზისის დაძლევაზე, არამედ მისგან მომდინარე ზიანის შემცირებაზე. ოპოზიციას სამართლიანად აკრიტიკებენ იმისთვის, რომ ის ზედმეტად დამოკიდებულია ცალკეულ პიროვნებებზე, აკლია ნათელი სტრატეგია და ხედვა, და ვერ ქნის სათანადოდ ინსტიტუციონალიზებულ პარტიებს; მიუხედავად ამისა, იმედისმომცემია, რომ ის სერიოზულ გამოწვევებს უქმნის დომინანტ პარტიას და რაღაც პერიოდებში, თუნდაც მცირედით, თავისი პოზიციის გაძლიერებასაც ახერხებს. თავისთავად ცხადად არ უნდა მივიღოთ, რომ ეს ვითარება შენარჩუნდება. დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების არსებული, თუნდაც არადამაკმაყოფილებელი დონე ბოლო სამი ათწლეულის მნიშვნელოვანი მიღწევაა და ის, როგორც მინიმუმი, უნდა შენარჩუნდეს.

ოპტიმიზმის საფუძვლად შეგვიძლია ჩავთვალოთ ისიც, რომ, მიუხედავად დრამატული მოვლენებისა (პირველ რიგში ვგულისხმობთ მიხეილ სააკაშვილის შიმშილობის პერიოდს, როდესაც მისი სიცოცხლე რეალური საფრთხის ქვეშ დადგა), ენმ-მა შეძლო საპროტესტო გამოსვლების კანონიერების ფარგლებში შენარჩუნება, თუმცა პარტიის აქტივისტების მხრიდან რადიკალიზაციის მოწოდებებიც ისმოდა.

თუმცა ხელისუფლების ქმედებები და რიტორიკა ხშირად აშკარა წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიულ ნორმებთან, მას ხელი არ აუღია ევროპული ინტეგრაციის და, შესაბამისად, დემოკრატიის ზოგადი პრინციპების მიმართ დეკლარაციულ ერთგულებაზე. ეს, ცხადია, არასაკმარისია, მაგრამ ასეთ გაცხადებულ პოზიციასაც შეიძლება შემზღუდველი გავლენა ჰქონდეს მის ქმედებებზე.

ყველა ამ წანამძღვრის გათვალისწინებით, მოხილვად მომავალში რა გონივრული მოლოდინები და მოთხოვნები შეიძლება ჰქონდეთ საქართველოს დემოკრატიის მხარდამჭერ ძალებს მთავარი პოლიტიკური მოთამაშეების მიმართ იმის მისაღწევად, რომ მიმდინარე კრიზისისგან ზიანი შემცირდეს და საბოლოო პოზიტიური შედეგის ალბათობა გაიზარდოს?

საქართველოს ხელისუფლების და პარტია „ქართული ოცნების“ მიმართ მთავარი მოთხოვნა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მან ოპოზიცია ლეგიტიმურ პოლიტიკურ მოთამაშედ ცნოს, ხელი აიღოს პოლიტიკური ველიდან მისი განდევნის რიტორიკაზე და თავი შეიკავოს სამართალდაცვის სისტემის პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გამოყენებისგან. ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევად სასურველია გამოცხადდეს მორატორიუმი პოლიტიკური ოპონენტების სისხლის სამართლებრივ დევნაზე მათი წარსული ქმედებების გამო. ამავე დროს, სახელისუფლებო პარტია უნდა დაეთანხმოს სტრატეგიულ დიალოგს არსებული პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავლის მონახვის მიზნით. ბოლო წლების ტენდენციებიდან გამომდინარე, ასეთი მოთხოვნა არარეალისტურია; მაგრამ ცხადი უნდა გახდეს, რომ ამგვარი ნაბიჯების გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მდგომარეობის ნორმალიზაცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში.

საქართველოს ოპოზიციურმა პარტიებმა გაცხადებულ კონსენსუსს უნდა მიაღწიონ ქმედების

თანმიმდევრულ სტრატეგიაზე მოქმედ კონსტიტუციურ ჩარჩოებში, რაც არ უნდა არასრულყოფილი იყოს არსებული პოლიტიკური ინსტიტუტები. აღიარებულ უნდა იქნას, რომ გაუთვლელი რადიკალური ნაბიჯები ოპოზიციის ლეგიტიმურობას ძირს გამოუთხრის და დემოკრატიული თავისუფლებებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ შეტევისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული. ოპოზიცია დემოკრატიული ცვლილებების უფრო გრძელვადიან სტრატეგიაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რასაც ის აქამდე ვერ ახერხებდა. ეს არ გამორიცხავს მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში პროტესტის სხვადასხვა ფორმის გამოყენებას.

ოპოზიციამ უნდა დაძლიოს გადაჭარბებული მოლოდინები დასავლელი პოლიტიკური აქტორების მხარდაჭერისგან. წარსული წლის ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი შეიძლება ის იყოს, რომ დასავლეთის პოლიტიკური მოთამაშეების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვანი, მაგრამ შეზღუდულია. ეს ასეც უნდა იყოს: არსებითი და მდგრადი პროგრესის მიღწევა დემოკრატიის სფეროში მხოლოდ საქართველოს პოლიტიკურ ძალებს შეუძლიათ.

რაც შეეხება ქართული დემოკრატიის დასავლელ მეგობრებს, ხაზი უნდა გაესვას, რომ მათი მუდმივი ყურადღება და ჩართულობა საქართველოში დემოკრატიული პროგრესის არასაკმარისი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაშინ, როდესაც ლიბერალური დემოკრატიის ნორმები და ინსტიტუტები მთელ მსოფლიოში დარტყმის ქვეშაა, საქართველოს ზოგადი ერთგულება ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროექტების მიმართ, საზოგადოებრივი ძალების გამუდმებული მცდელობები, ქვეყანაში დემოკრატიის ნორმები და ღირებულებები დამკვიდრდეს, საქართველოს დასავლელი პარტნიორებისთვის სტრატეგიულად ღირებულ პარტნიორად აქცევს. დასავლელი პარტნიორები პრინციპულები და თანმიმდევრულები უნდა იყვნენ ქართული პოლიტიკური პროცესების შეფასებისას და, სადაც ეს გამართლებულია, პირობითობის (conditionality) მექანიზმების გამოყენებისას. ამავე დროს, მათ მხარი უნდა დაუჭირონ ნებისმიერ იმედისმომცემ ინიციატივებს ქართული სამოქალაქო საზოგადოებისა თუ პოლიტიკური აქტორების მხრიდან, რაც ვითარების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული.

შენიშვნები

1 Civil.ge, „ოპოზიციური პარტიები ახალი მოწვევის პარლამენტს ბოიკოტს უცხადებენ", 02.11.2020, https://civil.ge/ka/archives/380168.

2 International Election Observation Mission. Georgia – Parliamentary Elections, 31 October 2020. Statement of Preliminary Findings and Conclusions, https://www.oscepa.org/en/documents/election-observation/election-observation-statements/georgia/statements-11/4097-2020-parliamentary-4/file; NDI Report: Allegations of Irregularities, Intimidation, and Abuses Detract from Legal and Administrative Improvements for Georgia's Parliamentary Elections. https://www.ndi.org/publications/ndi-report-allegations-irregularities-intimidation-and-abuses-detract-legal-and.

3 International Republican Institute, *Political Opinion Survey: Residents of Georgia, February 2021*, https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_february_2021_1.pdf. ჩვენ გავაერთიანეთ პასუხები, რომლებიც ბოიკოტს „მთლიანად" ან „ნაწილობრივ" ამართლებს.

4 არჩევნების შედეგები იხ. https://archiveresults.cec.gov.ge/results/20201031/#/ka-ge/election_43;path=election_43/dashboard.

5 Civil.ge, „ევროკავშირის წარმომადგენლობა პოლიტიკურ პარტიებს საერთო ენის გამონახვისკენ მოუწოდებს", 23.11.20, https://civil.ge/ka/archives/384180; Civil.ge, „PACE-ის თანამომხსენებლები პოლიტიკურ პარტიებს პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებენ", 24.11.2020, https://civil.ge/ka/archives/384274.

6 Civil.ge, „ოთხი დეპუტატი „პატრიოტთა ალიანსის" სიით პარლამენტში შედის და პარტიას ტოვებს", 05.01.2021, https://civil.ge/ka/archives/390062; Civil.ge, „პარტია მოქალაქეების დეპუტატები პარლამენტში შედიან", 29.01.2021, https://civil.ge/ka/archives/394412.

7 Civil.ge, "სამართალდამცველებმა ნიკა მელია დააკავეს", 23.02.2021, https://civil.ge/ka/archives/400101.

8 Civil.ge, "ნიკა მელიას დაკავებას „ოცნების" მისამართით მწვავე საერთაშორისო გამოხმაურებები მოჰყვა", 23.02.2021, https://civil.ge/ka/archives/402435.

9 Civil.ge, "ევროკავშირის შუამავლობით პრემიერი და ოპოზიცია დიალოგის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ", 01.03.2021, https://civil.ge/archives/402367; Civil.ge, "ევროკავშირმა საქართველოს პოლიტიკური კრიზისის მედიატორი დანიშნა", 09.03.2021, https://civil.ge/ka/archives/404139.

10 Civil.ge, "ქართულმა ოცნებამ და ოპოზიციის ნაწილმა ევროკავშირის კომპრომისულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს", 19.04.2021, https://civil.ge/ka/archives/414264; Civil.ge, "ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შედის, 19 აპრილის შეთანხმებას ხელს არ აწერს", 30.05.2021, https://civil.ge/ka/archives/423736.

[11] Ghia Nodia, "The Georgian Crisis and its EU-Mediated Resolution", CEPS June 2021, https://3dcftas.eu/op-eds/the-georgian-crisis-and-its-eu-mediated-resolution.

[12] Civil.ge, "ქართული ოცნება 19 აპრილის შეთანხმებას ტოვებს", 28.07.2021, https://civil.ge/archives/434256.

[13] https://cesko.ge/geo/list/show/126702-munitsipalitetis-tsarmomadgenlobiti-organos-sakrebulosa-da-tvitmmartveli-qalaqis-/tvitmmartveli-temis-meris-2021-tslis-2-oqtombris-archevnebis-shedegebis-shemadjamebeli-oqmebi.

[14] Civil.ge, "სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით ენმ „მასობრივი შიმშილობის აქციას" იწყებს", 21.12.21, https://civil.ge/archives/463457.

[15] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „არის თუ არა საქართველო მიტაცებული სახელმწიფო?", 11.12.2020, https://transparency.ge/ge/blog/aris-tu-ara-sakartvelo-mitacebuli-saxelmcipo.

[16] Levitsky, S. and Ziblatt, D (2018), *How Democracies Die* (New York: Penguin).

[17] Dustin Gilbreath and Koba Turmanidze, *Are Georgian Voters Polarized?* CRRC Policy Bulletin, Tbilisi 2020.

[18] Civil.ge, "ღარიბაშვილი: ნაციონალურ მოძრაობას 'არ აქვს უფლება დარჩეს პოლიტიკაში'", 22.10.2015, https://civil.ge/ka/archives/154537.

[19] Civil.ge, "საქართველო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სტამბოლის დეკლარაციაში", 03.07.2013, https://civil.ge/ka/archives/151941; Civil.ge, "პოლონეთის და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები საქართველოს პროგრესს მიესალმებიან და შერჩევითი სამართლის წინააღმდეგ აფრთხილებენ", 23.10.2013, https://civil.ge/ka/archives/152289; Civil.ge, "ევროპარლამენტში ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციის წინ საქართველოზე დებატები გაიმართა" 18.02.2014, https://civil.ge/ka/archives/153723.

[20] JAMnews, "ირაკლი კობახიძის თქმით, ენმ-მ "სირცხვილიას" ქილერის იდეის გატესტვა სთხოვა" 15.09.2021, https://jam-news.net/ge/irakli-kobakhidzis-tqmit-enm-m-modzraoba-sirckhvilias-qileris-ideis-gatestva-stkhoves/?fbclid=IwAR1ywh_GJTlVR9YS89EzXK9PJ3F8pxi-yv5mx9vEHXPE0sSAzJ45c3swL8Y; Civil.Ge, "პარლამენტის თავმჯდომარე ნაციონალურ მოძრაობას „პროვოკაციებსა და დეზინფორმაციაში" ადანაშაულებს," 25.09.2018, https://civil.ge/ka/archives/255374; Agenda.ge, "Ruling Party Accuses UNM supporters of Using Guns in Provocation Attempt," 19.09.2016, https://agenda.ge/en/news/2016/2217.

[21] Agenda.ge, "Ruling Party Accuses ex-MP Gakharia, Opposition UNM of Planning Alleged Coup," 6.06. 2021, https://agenda.ge/en/news/2021/1523.

[22] Civil.ge, "გიორგი გახარიამ ახალი პოლიტიკური პარტია დააფუძნა" 29.05.2021, https://civil.ge/ka/archives/423622; რადიო თავისუფლება, "გიორგი გახარია: მიშა სააკაშვილის ადგილი არის ციხეში" 02.10.2021, https://www.radiotavisupleba.ge/a/31488396.html.

[23] Civil.ge, "არასამთავრობები: „სახეზეა სახელმწიფოს მიტაცების მზარდი ტენდენცია"", 22.08.2019, https://civil.ge/ka/archives/317613; Civil.ge, "„TI საქართველო" ხელისუფლებას ორი ტელეკომპანიისთვის დაწესებული ინკასოს მოხსნისკენ მოუწოდებს", 21.03.20, https://civil.ge/ka/archives/343567.

[24] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „ბიზნესის კეთილსინდისიერება საქართველოში: საოპერაციო გარემო და შიდა მექანიზმები," 11.02.2020, https://www.transparency.ge/ge/post/biznesis-ketilsindisiereba-sakartveloshi-saoperacio-garemo-da-shida-mekanizmebi.

[25] Civil.ge, "ირაკლი კობახიძის თქმით, „პრაიდის" უკან „რადიკალური ოპოზიცია" დგას", 05.07.2021, https://civil.ge/ka/archives/430679; Civil.ge, „პრემიერი 5 ივლისის მოვლენებზე: „ქუჩაში თუ რაღაც ჩხუბი მოხდა, ეს სახელმწიფომ აღკვეთა", 23.07.2021, https://civil.ge/ka/archives/433706.

[26] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, "საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება 2020," 26.06.2020, https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-erovnuli-antikorupciuli-sistemis-shepaseba-2020.

[27] Civil.ge, "კობახიძე: სახალხო დამცველი ნაციონალური მოძრაობის დღის წესრიგს მიჰყვება," 09.11.2021, https://civil.ge/ka/archives/453972; Civil.ge, "არასამთავრობები სახალხო დამცველის წინააღმდეგ მმართველი პარტიის თავდასხმებს გმობენ," 19.11.2021, https://civil.ge/ka/archives/456883.

[28] Civil.ge, "პარლამენტმა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტი ჩააგდო", 14.11.2019, https://civil.ge/ka/archives/326293; Civil.ge, "ოპოზიცია და სამოქალაქო აქტივისტები ვადამდელი პროპორციული არჩევნების ჩატარებას ითხოვენ", 14.11.2019, https://civil.ge/ka/archives/326526.

[29] Civil.ge, "120/30-ზე – ოპოზიცია და მმართველი გუნდი საარჩევნო სისტემის რეფორმაზე შეთანხმდნენ", 08.03.2020, https://civil.ge/ka/archives/341390.

[30] Civil.ge, „დიპლომატიური კორპუსის ინიციატივით ხვალ მმართველი გუნდი ოპოზიციას შეხვდება", 29.11.2019, https://civil.ge/ka/archives/329737.

[31] Civil.ge, "ევროკავშირის შუამავლობით პრემიერი და ოპოზიცია დიალოგის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ", 01.03.2021, https://civil.ge/ka/archives/402435.

[32] საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა დემოკრატიის სამიტზე, 10.12.2021 https://www.president.gov.ge/en/News/Article/Summit_for_Democracy.

[33] Tabula.ge, "კობახიძე: ვიდრე კრიმინალებს პოლიტიკაში დარჩენის ამბიცია აქვთ, შერიგებაზე საუბარი ზედმეტია" 14.12.2021, https://tabula.ge/ge/news/677563-kobakhidze-vidre-kriminalebs-politikashi.

[34] ინტერპრესნიუსი, „შარლ მიშელი განცხადებას ავრცელებს", 29.07.2021, https://www.interpressnews.ge/ka/article/667761-sharl-misheli-gancxadebas-avrcelebs/.

[35] Agenda.ge, *Int'l community criticizes ruling party's withdrawal from EU-mediated agreement*, 29.07.2021, https://agenda.ge/en/news/2021/2145; Civil.ge, "აშშ 19 აპრილის შეთანხმებიდან ქართული ოცნების გასვლას ეხმიანება", 29.07.2021, https://civil.ge/ka/archives/434548.

[36] Civil.ge, "ოპოზიცია ქართულ ოცნებას მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებისკენ მოუწოდებს", 26.01.21, https://civil.ge/ka/archives/393548.

[37] Civil.ge, "პრემიერი: გადაწყვეტილი გვაქვს, თავი შევიკავოთ ევროკავშირის სესხის აღებისგან", 31.08.2021, https://civil.ge/ka/archives/437861.

[38] Civil.ge, "ევროკავშირი: საქართველომ ვერ შეძლო საკმარისად შეესრულებინა მაკროფინანსური დახმარების მიღების პირობა", 31.08.2021, https://civil.ge/ka/archives/437989; JAMnews, "საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირისგან დახმარების მიღებაზე უარს ამბობს," 31.08.2021, https://jam-news.net/ge/saqartvelos-khelisufleba-evrokavshirisgan-dakhmarebis-mighebaze-uars-ambobs/.

[39] Civil.ge, "ქართული ოცნების ლიდერები ევროკავშირის ელჩს აკრიტიკებენ," 24.09.2021, https://civil.ge/ka/archives/442556; Civil.ge, "ირაკლი კობახიძე და კელი დეგნანი ერომანეთს კვალიფიკაციის გამო დაუპირისპირდნენ," 06.12.2021, https://civil.ge/ka/archives/460021.

[40] Georgian Institute of Politics, "Op-ed: From poster child to problem child: Georgia's democratic crisis Threatens its European future," 09.09.2021, http://gip.ge/op-ed-from-poster-child-to-problem-child-georgias-democratic-crisis-threatens-its-european-future/; Ian Kelly, David Kramer, "Georgia Turns its Back on the West," Foreign Policy, 20.08.2021, https://foreignpolicy.com/2021/08/20/georgia-russia-belarus-putin-turns-back-on-west/; OC Media, "EU Parliamentarians warn of 'crisis in democracy' in Georgia," 10.03.2021, https://oc-media.org/eu-parliamentarians-warn-of-crisis-in-democracy-in-georgia/.

[41] Georgian Institute of Politics, "Extreme Political Polarization: Implications for Georgian Democracy," 29.03.2021, http://gip.ge/extreme-political-polarization-implications-for-georgian-democracy/; Ani Chkhikvadze, "Washington's Forgotten Golden Boy Is Trying for a Comeback in Georgia", Foreign Policy, 06.11.2021, https://foreignpolicy.com/2021/11/05/mikheil-saakashvili-georgia-hunger-strike-washington-golden-boy/.

[42] Tabula.ge, "კელი: კრიზისი უფრო იოლად მოგვარდება, თუ ივანიშვილი და სააკაშვილი პროცესს ჩამოშორდებიან", 13.03.2021, https://tabula.ge/ge/news/664373-keli-krizisi-upro-iolad-mogvardeba-tu-ivanishvili.

[43] Tabula.ge, "მარინა კალიურანდი: ჩემი რჩევა იქნება, არ დაელოდოთ მედიაციის ახალ რაუნდს", 09.11.2011, https://tabula.ge/ge/news/675950-marina-kaliurandi-chemi-rcheva-ikneba-ar-daelodot.

[44] თვით ამ სიტყვის გამოყენება პარტიული უთანხმოების საგნად იქცევა. მმართველი პარტიის აზრით, 19 აპრილის შარლ მიშელის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ „ვერავინ ვეღარ ამბობს იმას, რომ არის პოლიტიკური კრიზისი." – Tabula.ge, „კობახიძე 19 აპრილის შეთანხმებაზე: ეს იყო კავკასიური ცარცის წრე", 07.12.2021, https://tabula.ge/ge/news/677293-kobakhidze-19-aprilis-shetankhmebaze-es-iqo.

[45] Archil Gegeshidze, Thomas de Waal, *Divided Georgia: A Hostage to Polarization*, Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace, 2021; Tamta Kandelaki et. al., *Georgia's Political Crisis: Actors and Instruments of Polarization* Caucasus Analytical Digest Special Edition No. 123, September 2021, https://doi.org/10.3929/ethz-b-000507160.

[46] იხ, ზემოთ სქოლიო 17.

[47] Civil.ge, "31 ოქტომბრის არჩევნების მთავარი გამარჯვებულები და დამარცხებულები", 02.11.2020, https://civil.ge/ka/archives/380489; Civil.ge, "2021 Municipal Elections: Outcomes, Winners, Trends", 06.10.2021, https://civil.ge/archives/446355.

დანართი

პოლიტიკური კრიზისი საქართველოში და მისი შედეგები დემოკრატიისთვის

(2020 წლის ოქტომბერი – 2021 წლის სექტემბერი)

ექსპერტული გამოკითხვის შედეგები

აგვისტო-სექტემბერი 2021

2021 წლის აგვისტო-სექტემბერში მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა ჩაატარა პოლიტიკის ქართველი ექსპერტების გამოკითხვა. მისი თემა იყო პოლიტიკური კრიზისი 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებს შორის. ის მოიცავდა რაოდენობრივ და თვისობრივ კომპონენტებს 100 ექსპერტმა უპასუხა ინსტიტუტის ონლაინ-გამოკითხვას, გარდა ამისა, ჩატარდა 5 ჩაღმავებული ინტერვიუ. ეს ანგარიში აჯამებს ამ კვლევის შედეგებს.

ძირითადი მიგნებები

ერთი წელი, რომელიც 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით იწყება და 2021 წლის მუნიციპალური არჩევნებით მთავრდება, განსაკუთრებით კრიზისული იყო ქართული დემოკრატიული განვითარებისთვის. ამ შეფასებას პრაქტიკულად ყველა ექსპერტი იზიარებს, თუმცა მათ შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეთ იმაზე, თუ რაში იყო კრიზისის კონკრეტული გამოვლინებები. უმრავლესობის აზრით, ქვეყანაში კიდევ უფრო გამოიკვეთა ავტორიტარული ტენდენციები, გამოჩნდა დასავლელი აქტორებისგან, კერძოდ, ევროკავშირისგან დაშორების ნიშნები და გაღრმავდა უნდობლობა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ.

გამოკითხულ ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, ოპოზიციის პარლამენტში არშესვლა 2020 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ (მიუხედავად იმისა, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს თუ არა ეს ნაბიჯი) მხოლოდ ნიშანი იყო პოლიტიკური კრიზისისა და არა მისი ძირითადი გამოხატულება.

დიდი უმრავლესობა პასუხისმგებლობას ნეგატიური ტენდენციების განვითარებისთვის აკისრებს მმართველ პარტიას, რომელიც ხელისუფლების შენარჩუნების ინტერესს დემოკრატიის ინტერესზე მაღლა აყენებს.

ამავე დროს, ექსპერტთა დიდი ნაწილი ოპოზიციის მხარესაც სერიოზულ პრობლემებს ხედავს. მის ძირითად ნაკლოვანებებად მიიჩნევა მკაფიო სტრატეგიის არქონა, დაქსაქსულობა და საზოგადოების მობილიზაციის არასაკმარისი უნარი. ზოგი ექსპერტი არც ოპოზიციას მიიჩნევს დემოკრატიული ღირებულებების ერთგულად.

ექსპერტებს აზრი იმის თაობაზე, რამდენად გამართლებული იყო პარლამენტის ბოიკოტი, დაახლოებით თანაბრად გაიყო. უმრავლესობის აზრით, ოპოზიციამ ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომ საარჩევნო დარღვევების ერთობლიობამ შეცვალა არჩევნების შედეგი. თუმცა, ბევრის აღიარებით, ეს ობიექტურად რთული ამოცანა იყო, რადგან დარღვევების უმრავლესობა ეხებოდა წინასაარჩევნო პერიოდს (ამომრჩევლის დაშინება, მოსყიდვა, ადმინისტრაციული რესურსის სხვადასხვა ფორმით გამოყენება და ა. შ.), რისი დოკუმენტირება და გავლენის გაზომვა შედარებით რთულია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის შუამავლობით აპრილში მიღებული შეთანხმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის (ე.წ. „შარლ მიშელის შეთანხმება“) საბოლოოდ ჩაიშალა, რესპონდენტების უდიდესი უმრავლესობა მაინც დიდ იმედებს ამყარებს დასავლეთის ჩართულობაზე საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში. მათი აზრით, დასავლეთმა უნდა გააძლიეროს დიპლომატიური ზეწოლა ''ქართული ოცნების“ ხელისუფლებაზე, თუმცა რესპონდენტების ნაწილს ეჭვი შეაქვს მკაცრი სანქციების პროდუქტიულობაში და შიშობს, რომ ამ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლება შეიძლება პროდასავლურ კურსს კიდევ უფრო დაშორდეს.

გამოკითხულთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ ავტორიტარული პრაქტიკების გაძლიერებასთან ერთად საქართველო ობიექტურად შორდება დასავლეთს და უახლოვდება რუსეთს. ამასთან, ექსპერტთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ხელისუფლება მაინც შეინარჩუნებს დეკლარაციულ პროდასავლურ კურსს, რადგან ღიად პრორუსული პოზიცია საზოგადოებაში არაპოპულარულია.

ექსპერტთა დიდი უმრავლესობა საქართველოში არჩევნების ინსტიტუტის მიმართ უნდობლობის ძირითად მიზეზად ხელისუფლების მიერ შექმნილ პოლიტიკურ გარემოს მიიჩნევს. ნაწილი პრობლემის ნაწილს არასრულყოფილ კანონმდებლობაშიც

ხედავს, თუმცა, უმრავლესობის აზრით, ეს ძირითადი მიზეზი არ არის.

ექსპერტთა უმრავლესობა დემოკრატიის პროგრესის პერსპექტივას ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლას უკავშირებს. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია, ოღონდ იმ პირობით, თუ ოპოზიციის მხარდაჭერა ბევრად ძლიერი იქნება მმართველ პარტიასთან შედარებით, რათა ამ უკანასკნელის მიერ გამოყენებული ხსენებული უკანონო მეთოდების შედეგები გადასწონოს. საჭიროა აგრეთვე დასავლეთის ჩართულობის შენარჩუნება ან გაზრდა და საზოგადოების მეტი მობილიზაცია დემოკრატიული ნორმების და ინსტიტუტების დასაცავად.

ექსპერტთა უმრავლესობა ვერ გამორიცხავს საქართველოში რევოლუციური სცენარის განვითარებას, თუმცა თვლის, რომ მოცემულ ეტაპზე ამის ალბათობა დაბალია, რადგან საზოგადოების უმრავლესობა არ არის განწყობილი მის მხარდასაჭერად.

საექსპერტო გამოკითხვის მიზნები და მეთოდოლოგია

ამ კვლევის მიზანი იყო, შეესწავლა ექსპერტთა წრის დამოკიდებულება წლის კრიზისული მოვლენების მიმართ. ცხადია, მას რეპრეზენტატულობის პრეტენზია ვერ იქნება. მაგრამ მასში მონაწილეობდა უმრავლესობა იმ ადამიანებისა, ვისგანაც საქართველოს პოლიტიკური პროცესების ყველაზე კომპეტენტურ განხილვას ველით. ეს პიროვნებები და/ან ორგანიზაციები, რომელთაც ისინი წარმოადგენენ, გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და პოლიტიკური მოვლენების აღქმაზე ადამიანთა საკმაოდ ფართო წრის მიერ; შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს გავლენა, რაღაც ზომით, პოლიტიკური მოთამაშეების გადაწყვეტილებებზეც ვრცელდება.

გამოკითხვის მიზნებისთვის ექსპერტებად ჩავთვალეთ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები, რომლებიც დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების მონიტორინგში და ანალიზში არიან ჩართული, წამყვანი და გავლენიანი ჟურნალისტები, ვინც ამ საკითხების მედიაში აშუქებს, დამოუკიდებელი ანალიტიკოსები, ვის კვლევებსაც გავლენიანი ორგანიზაციები იყენებენ.

კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ამ საკითხებით დაინტერესებულ ადამიანთა უმრავლესობა კრიტიკულად არის განწყობილი ხელისუფლების ქმედებების მიმართ, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ ისინი ოპოზიციის მიმართაც გამოთქვამენ უარყოფით შეფასებებს. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, გამოკითხვაში განსხვავებული შეხედულებები ასახულიყო და მასში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მატარებელი ადამიანები ჩაგვერთო. მაგრამ ეს ვერ ცვლის ვითარებას, რომ შედეგებში მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკული შეფასებები ჭარბობს. ამ ტენდენციას გარკვეულად აწონასწორებს ის, რომ ხელისუფლების და მისი მომხრეების პოზიციას კარგად ვიცნობთ მისი საჯარო გამოსვლებიდან.

გამოკითხვა ჩატარდა ერთი თვის მანძილზე, 22 აგვისტოდან 22 სექტემბრამდე Survey Monkey-ს პლატფორმაზე. კითხვარის შევსება შევთავაზეთ 300-ე მეტ ექსპერტს, საბოლოოდ მივიღეთ ზუსტად 100 პასუხი. აქედან, 45 რესპონდენტი აკადემიური სფეროდანაა, 30 – არასამთავრობო ორგანიზაციიდან, 12 – მედიიდან, 7 დამოუკიდებელი მკვლევარია, კიდევ ხუთი ასევე კვლევით საქმიანობაშია ჩართული, თუმცა ცალსახად ვერ მიაკუთვნა თავი ვერც ერთ ამ კატეგორიას.

ექსპერტებს უნდა აერჩიათ შემოთავაზებულ კითხვებზე ის პასუხები, რაც ყველაზე ახლოსაა მათ ხედვასთან. ამავე დროს, მათ საშუალება ჰქონდათ, თავიანთი არჩევანი კომენტარის სახით განემარტათ ან დაესაბუთებინათ. ამან ონლაინ-გამოკითხვას თვისობრივი კომპონენტი შესძინა.

გარდა ამისა, ჩავატარეთ ხუთი ჩაღრმავებული ინტერვიუ პოლიტიკის წამყვან ქართველ ექსპერტთან. მათი შეხედულებები არსებითად არ განსხვავდება რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგებისგან, მაგრამ ისინი უფრო ნიუანსირებული სურათის წარმოდგენის შესაძლებლობას გვაძლევს.

რას ნიშნავს „კრიზისი“?

როგორც აღვნიშნეთ, არ არსებობს ერთიანი აზრი ხსენებული მოვლენების „კრიზისად“ შეფასების თაობაზე. „ქართული ოცნება“ ამ შეფასებას არ იზიარებდა, თუმცა მისი წარმომადგენლების გამონათქვამები ამ მხრივ ყოველთვის თანმიმდევრული არ იყო: ხანდახან ისინი აღიარებდნენ კრიზისის არსებობას, მაგრამ მას „ხელოვნურს“ უწოდებდნენ. გარდა ამისა, მათ შორის, ვინც ვითარებას კრიზისად მოიაზრებს, არ არსებობს ერთიანი აზრი იმაზე, რაში მდგომარეობდა მისი არსი: მაგალითად, უნდა ჩათვლილიყო თუ არა „შარლ მიშელის შეთანხმების“ მიღება კრიზისის დასრულებად. ჩვენ შევამოწმეთ, რას ფიქრობენ ამაზე ექპერტები.

გამოკითხულთა მკაფიო უმრავლესობა – 68 ექსპერტი 100-დან თვლის, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებით დაწყებული პერიოდი მთლიანად პოლიტიკური კრიზისის პერიოდად უნდა ჩაითვალოს (შესაბამისად, „შარლ მიშელის შეთანხმება“ კრიზისიდან გამოსვლას არ ნიშნავდა). ამ განწყობაზე, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ გამოკითხვის

მომენტისთვის რესპონდენტებმა იცოდნენ, რომ „ქართული ოცნება“ შეთანხმებიდან გავიდა. 22 რესპონდენტის აზრით, შარლ მიშელის შეთანხმებით კრიზისი დაიძლია, თუმცა მმართველი პარტიის მიერ მისი უარყოფის შემდეგ ვითარება ისევ კრიზისული გახდა. მხოლოდ ორი რესპონდენტი არ დაეთანხმა ვითარების კრიზისად შეფასებას, სავარაუდოდ, იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლება სრულად აკონტროლებს ძალაუფლების ბერკეტებს და სახელმწიფო მართვის პროცესები არ შეფერხებულა.

კვლევის თვისობრივი კომპონენტი (კომენტარები და ჩაღრმავებული ინტერვიუები) აზრთა კიდევ უფრო დიდ სპექტრს აჩვენებს. ბევრი რესპონდენტი კრიზისის არსს გაცილებით უფრო ფართოდ ხედავს, ვიდრე ოპოზიციის პარლამენტში არშესვლაა: მისი ძირითადი შინაარსია პოლიტიკური პოლარიზაციის გამძაფრება და ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კომუნიკაციის სრული მოშლა (თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო შუამავლობით ჩატარებულ მოლაპარაკებებს), მზარდი უნდობლობა ინტიტუტების მიმართ, ხელისუფლების ქმედებებში ავტორიტარული ტენდენციის გამძაფრება, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონი და ა.შ. არ არსებობს ერთიანი აზრი კრიზისის დროითი საზღვრების შესახებაც; გამოითქვა აზრი, რომ კრიზისი 2019 წლის ივნისიდან, ე.წ. „გავრილოვის ღამით“[1] დაიწყო და მას შემდეგ სხვადასხვა ფორმით გრძელდება; სხვების აზრით, კრიზისული პერიოდი ამ კვლევით გათვალისწინებულ მთლიან პერიოდს მოიცავს.

ვისი ან რისი ბრალია?

მოვლენათა „კრიზისად“ კვალიფიკაციის საკითხი გვერდზე რომ გადავდოთ, თავისთავად ოპოზიციის მიერ პარლამენტის ბოიკოტი, რომელმაც საჭირო გახადა მედიაცია სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს შორის ევროპის საბჭოს პრეზიდენტის დონეზე, ექსტრაორდინარული მოვლენაა, რომელიც დემოკრატიისთვის ნორმალურად ვერ ჩაითვლება. ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მოვლენები ამ მიმართულებით განვითარდა?

ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობა, 89 რესპონდენტი, პასუხისმგებლობას ძირითადად ხელისუფლებას აკისრებს, თუმცა თითქმის ნახევარი, 49, თვლის, რომ კრიზისულ მოვლენებზე ოპოზიციაც აგებს პასუხს. მხოლოდ ათმა რესპონდენტმა თანაბრად გაანაწილა პასუხიმგებლობა ორივე მხარეს. იგივე ტენდენცია გამოჩნდა ჩაღრმავებულ ინტერვიუებში: ექსპერტებმა კრიზისზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაანაწილეს დაახლოებით 70:30 ან 60:40 პროპორციით.

ცალკე შეკითხვა ეხებოდა „ქართული ოცნების“ მხრიდან შარლ მიშელის შეთანხმებიდან გასვლის გადაწყვეტილებას. ხელისუფლება ამაზე პასუხისმგებლობას აკისრებს იმ პარტიებს, ვინც ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა, უპირველეს ყოვლისა, ენმ-ს. ეს პოზიცია მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა გაიზიარა. კიდევ სამის აზრით, შეთანხმების ჩაშლა ძირითადად ოპოზიციის ბრალია, თუმცა მმართველ პარტიას მისი ანულირება მაინც არ უნდა მოეხდინა. 56 რესპონდენტმა გაიზიარა შეფასება, რომ პასუხიმგებლობა ექსკლუზიურად მმართველი პარტიისაა; კიდევ 38-ის აზრით, „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობა გადამწყვეტია, თუმცა მას ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის მთქმელი პარტიებიც ინაწილებენ – თუნდაც იმით, რომ მმართველ პარტიას ხელშეკრულებიდან გამოსვლის საბაბი მისცეს.

ექსპერტებს იმაზეც დავუსვით კითხვა, თუ რა განაპირობებს მოსახლეობის და პოლიტიკური კლასის უნდობლობას საარჩევნო ინსტიტუტების და პროცედურების მიმართ. მხოლოდ სამმა რესპონდენტმა ჩათვალა, რომ ქვეყნის კანონმდებლობაც და პოლიტიკური გარემოც ადექვატურია დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. 59 ექსპერტის აზრით, უნდობლობას ძირითადად განაპირობებს „რეალური პოლიტიკური გარემო, რომელიც ხელისუფლების ქმედებებიდან მომდინარეობს“, ხოლო 35-ის აზრით, ამ ფაქტორის გარდა, მნიშნელოვანია საკანონმდებლო ხარვეზების არსებობა. თვისობრივ კომპონენტში, ექსპერტებმა ახსენეს აგრეთვე პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი დონის ფაქტორებიც; ამის გამო, ზოგი მათგანი არასასურველი პოლიტიკური გარემოს არსებობაში ოპოზიციასაც ადანაშაულებს.

რამდენად სწორი იყო პარლამენტის ბოიკოტი, შემდეგ კი მისი დასრულება?

ექსპერტთა მოსაზრება ამ საკითხზე შევამოწმეთ ორი შეკითხვით. პირველ რიგში, მათ ვთხოვეთ, ბოიკოტის საფუძვლის, ანუ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მომხდარი დარღვევების მასშტაბის, შეფასება: რამდენად შეგვიძლია ვთქვათ,

[1] 2019 წლის 20 ივნისს იმ ფაქტმა, რომ მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიის დროს მისმა წამყვანმა, რუსეთის დუმის დეპუტატმა სერგეი გავრილოვმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა და სესია რუსულად წაიყვანა, ფართო პროტესტი გამოიწვია. სესია ჩაშალა, გავრილოვმა სასწრაფოდ დატოვა ქვეყანა, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე თანამდებობიდან გადადგა. იმავე საღამოს პოლიციამ პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციის დაშლა დაიწყო. ეს პროცესი მთელი ღამე გაგრძელდა და პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებებში გადაიზარდა.

რომ ამ დარღვევებმა არჩევნების შედეგზე იმოქმედა? ამ მხრივ აზრი თითქმის თანაბრად გაიყო: 37 რესპონდენტის აზრით, მათ არა აქვთ საკმარისი მონაცემები, რომ ამ შეკითხვას მკაფიო პასუხი გასცენ, ხოლო 36-მა გაიზიარა უფრო ცალსახა შეფასება, რომლის თანახმადაც ოპოზიციას გამარჯვება წაართვეს. მხოლოდ 17 ექსპერტი დაეთანხმა ასევე მკვეთრ, მაგრამ საპირისპირო შეფასებას: დარღვევებს შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

ამ შედეგებიდან გამომდინარე ლოგიკურია, რომ მოსაზრებები გაიყო იმის თაობაზეც, რამდენად გამართლებული იყო არჩევნების ბოიკოტი ოპოზიციის მხრიდან. 37 რესპონდენტმა ბოიკოტი ცალსახად შეცდომად მიიჩნია. 44-მა სწორად ჩათვალა როგორც ბოიკოტი, ისე მიშელის დოკუმენტით შემოთავაზებულ კომპრომისზე თანხმობა და ამის შემდეგ ოპოზიციის პარლამენტში შესვლა, 12-მა კი უფრო რადიკალურ პოზიციას დაუჭირა მხარი: ბოიკოტი სწორი იყო, მაგრამ ოპოზიცია არ უნდა დათანხმებოდა მიშელის დოკუმენტს და არ უნდა შესულიყო პარლამენტში.

კვლევის თვისობრივ კომპონენტში გამოიკვეთა ექსპერტების დიდი ნაწილის აზრი, რომ საარჩევნო დღის დარღვევები არც ისე დიდი იყო, ან მათზე არა გვაქვს საკმარისი ინფორმაცია. ამიტომ, ოპოზიციამ ვერ წარმოადგინა სანდო მტკიცებულებები იმისა, რომ დარღვევების მასშტაბმა გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე; შესაბამისად, ბოიკოტის გადაწყვეტილება გადაჭარბებულ, ზედმეტად ემოციურ რეაქციად გამოჩნდა.

ამავე დროს, არჩევნების შედეგებზე უფრო დიდი (შესაძლოა, გადამწყვეტი) მნიშვნელობა ჰქონდა დარღვევებს წინასაარჩევნო პერიოდში – ამომრჩეველთა მოსყიდვას, დაშინებას, შანტაჟს, ადმინისტრაციული რესურსის არაჯეროვან გამოყენებას და ა.შ. პრობლემა იმაშია, რომ ამგვარი დარღვევების დოკუმენტირება და მათი შედეგების გაზომვა რთულია. ბევრმა გამოთქვა მოსაზრებაც, რომ როგორც პარტიებს, ისე დამოუკიდებელ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს არ ჰქონდათ საკმარისი რესურსი, რომ დარღვევები ადექვატურად აღენუსხათ.

დაბოლოს, ექსპერტებს ვთხოვეთ, ცალკე შეეფასებინათ ოპოზიციის ნაწილის გადაწყვეტილება, დათანხმებოდა მიშელის დოკუმენტს. დიდმა უმრავლესობამ, 80 რესპონდენტმა, ეს სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნია, 16-მა კი – არასწორად, თუმცა სხვადასხვა მოტივით: 9-მ უპირატესობა მიანიჭა იმ აზრს, რომ ბოიკოტის გაგრძელებით ოპოზიციისთვის უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლებოდა, 7-მა კი გაიზიარა აზრი, რომ ბოიკოტის შეწყვეტით ოპოზიციამ პრინციპებს უღალატა, თუმცა უკეთესი დოკუმენტის მიღების შანსი ნაკლები იყო.

ვინ მოიგო ამ კრიზისით?

მიუხედავად იმისა, რამდენად გავამართლებთ მმართველი თუ ოპოზიციური პარტიების კონკრეტულ ნაბიჯებს, საინტერესოა შევაფასოთ მათი პოლიტიკური შედეგი: ვინ მოიგო და ვინ წააგო საპარლამენტო ბოიკოტით და იმით, თუ როგორ უპასუხა ხელისუფლებამ ოპოზიციის ამ ნაბიჯს? გაიზარდა თუ შემცირდა ამის შედეგად მხარეების მხარდაჭერა, რაც შემდეგი არჩევნების შედეგებზე უნდა აისახოს?

ეს ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი იყო, რაზეც მოსაზრებები გაიყო. 42 რესპონდენტის ვარაუდით, ამ მოვლენების ერთობლიობა არ მოახდენდა არსებით გავლენას მუნიციპალური არჩევნების შედეგზე, 22-მა ჩათვალა, რომ ამ მოვლენებმა ოპოზიცია გააძლიერა, 19-ის აზრით კი მან სახელისუფლებო პარტიის პოზიციები გაამყარა.

თვისობრივ კომპონენტში ექსპერტები უფრო კონკრეტულად საუბრობდნენ მხარეების პოლიტიკურ სარგებელზე ან ზარალზე. ბუნებრივად მეტი ყურადღება დაეთმო იმას, თუ რა შედეგი მოუტანა კრიზისმა ოპოზიციას, რადგან სწორედ მან მიიღო ბოიკოტის გადაწყვეტილება. პირველ ეტაპზე ამ ნაბიჯის სუსტი მხარეები უფრო თვალნათლივი გახდა ორი თვალსაზრისით: ოპოზიციამ ვერ შეძლო საკმარისი რაოდენობის ხალხის ქუჩაში გამოყვანა მისი აზრით გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად; გარდა ამისა, მისი გადაწყვეტილება ცალსახად უარყოფითად შეაფასა საერთაშორისო დემოკრატიულმა თანამეგობრობამ, მისი აზრი კი საქართველოში მეტად ავტორიტეტულია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც პრიორიტეტს ანიჭებს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას.

ბოიკოტის გადაწყვეტილება განსაკუთრებით წამგებიანი აღმოჩნდა პატარა ოპოზიციური პარტიებისთვის, რადგან ისინი, ამომრჩევლის თვალში, გაიგივდნენ ნაციონალურ მოძრაობასთან, თუმცა არჩევნებამდე მისგან დისტანცირებას ცდილობდნენ. ამ ვარაუდს ადასტურებს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის 2021 წლის თებერვლის კვლევა, რომლის თანახმადაც ბოიკოტის გადაწყვეტილებას გამართლებულად თვლიდა ნაციონალური მოძრაობის მომხრეთა 60% პროცენტი (აქედან 46% – ცალსახად), ხოლო სხვა ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა უმრავლესობა მას მხარს არ უჭერდა. გამოვიდა, რომ ამ პარტიებმა საკუთარ მხარდამჭერთა უმრავლესობის საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღეს, რაც შეიძლება შემდგომ არჩევნებზე მათთვის დამაზიანებელი აღმოჩენილიყო. 2021 წლის ოქტომბრის მუნიციპალურმა არჩევნებმა ეს ვარაუდი დაადასტურა: ხსენებული პარტიების შედეგი წინა წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით საგრძნობლად გაუარესდა.

მეორეს მხრივ, კრიზისის ფონზე ხელისუფლების ქცევამ, განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობის ლიდერის, ნიკა მელიას დაპატიმრებამ, დააზარალა საერთაშორისო პარტნიორებთან „ქართული ოცნების“ ურთიერთობაც. დასავლეთში ფართოდ გამოითქვა შეშფოთება, რომ საქართველო ხელს იღებდა ევროპულ დემოკრატიად ქცევის ამბიციაზე. ამის შედეგად, ევროკავშირი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე ჩაერთო კრიზისის გადაწყვეტის მცდელობებში. შარლ მიშელის შეთანხმების დადება ოპოზიციის შეფარდებით გამარჯვებად იქცა: შეიქმნა ოპოზიციის მთავარი მოთხოვნის შესრულების, ანუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის, რეალისტური შანსი. მაგრამ ამან ოპოზიციას ნეგატიური შედეგებიც მოუტანა: დოკუმენტის ხელმოწერის საკითხთან დაკავშირებულმა უთანხმოებებმა ოპოზიციის ერთიანობა დააზიანა.

ყოველივე აქედან ჩანს, რატომ გაუჭირდათ ექპერტებს კრიზისის პოლიტიკური შედეგების ცალსახა შეფასება. რამდენიმე მათგანის აზრით, ხსენებულმა მოვლენებმა ორივე მხარე, ანუ მთლიანად პოლიტიკური კლასი და ქვეყნის იმიჯი აზარალა.

რა შედეგები ექნება მიღებულ გამოცდილებას საქართველოს და დასავლეთის ურთიერთობისთვის?

განხილული მოვლენები უპრეცედენტო იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში იმ თვალსაზრისით, რომ ევროკავშირი უშუალოდ და მაღალ დონეზე ჩაერთო საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში. ევროპის საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ჯერ პირადად გაუძღვა მედიაციის პროცესს, შემდეგ კი საამისოდ საკუთარი წარმომადგენელი დანიშნა. ამან აჩვენა, რომ საქართველოს დემოკრატიული პროგრესი მეტად ღირებულია ევროპისთვის; შეიძლება მეტიც ითქვას: მან საკუთარი რეპუტაციაც კი დადო სასწორზე ამ მიზნის მისაღწევად. მეორეს მხრივ, ამ ეპიზოდმა გაზარდა მოლოდინები საქართველოში, რომ ასეთი მაღალი დონის მედიაციით მიღებული შეთანხმება ერთგვარ საგზაო რუქას შეუქმნიდა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის, რადგან არც ერთი მხარე არ წავიდოდა ევროკავშირის ავტორიტეტის წინააღმდეგ. თუმცა, ქართული ოცნების გადაწყვეტილებამ შეთანხმებიდან გამოსვლის თაობაზე, აგრეთვე ენმ-ის მხრივ მის ხელმოწერაზე უარის თქმამ (თუმცა ამ პარტიამ შეთანხმების პუნქტების შესრულების მზაობა გამოთქვა) ეს უკანასკნელი მოლოდინი გააქარწყლა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტებს რამდენიმე შეკითხვა დავუსვით. პირველი მათგანი შეეხებოდა ზოგად შეფასებას: რამდენად დიდია დასავლეთის როლი საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში? პასუხებმა ცალსახად აჩვენა, რომ, მიუხედავად მიშელის მედიაციით მიღებული შეთანხმების ჩაშლისა, დასავლეთის ჩართულობასთან დაკავშირებული მოლოდინები მაღალი რჩება. 58 რესპონდენტის აზრით, „დასავლელი პარტნიორების ჩართულობა საქართველოს დემოკრატიული პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია“, ხოლო კიდევ 26-მა მიიჩნია, რომ ის „მნიშვნელოვანი, თუმცა არა ერთადერთი ფაქტორია“. 16-მა დასავლეთის ჩართულობა თავისთავად პოზიტიურად შეაფასა, თუმცა, მათი აზრით, „ის ბევრს ვერაფერს ცვლის“. არც ერთს არ ჩაუთვლია დასავლეთის როლი ზედმეტად და კონტრპროდუქტიულად, თუმცა პასუხის ასეთი ვარიანტიც შევთავაზეთ.

შარლ მიშელის შეთანხმების ჩაშლამ იმედი გაუცრუა არა მხოლოდ დემოკრატიის მომხრეებს საქართველოში, არამედ საქართველოს დასავლელ მეგობრებსაც. რამდენად შეინარჩუნებენ დასავლელი პარტნიორები რწმენას, რომ მათ შეუძლიათ ქმედითი დახმარება გაუწიონ საქართველოს დემოკრატიზაციის გზაზე? ექსპერტებს ვკითხეთ, დასავლეთის სტრატეგიაში რა ცვლილებებს ელიან ამის შემდეგ. უმრავლესობამ პროგნოზისგან თავი შეიკავა: 47 რესპონდენტი დაეთანხმა აზრს, რომ ჯერჯერობით ამ მიმართულებით რაიმე დასკვნის გაკეთება ნაადრევია. 28 რესპონდენტი ელის, რომ დასავლელი პარტნიორები გააძლიერებენ ზეწოლას „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაზე, ხოლო 20 – რომ, მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, „დასავლელი პარტნიორები ნაკლებ ინტერესს გამოიჩენენ საქართველოს მიმართ.“ კვლევის თვისობრივი კომპონენტი ადასტურებს, რომ უმრავლესობა დასავლეთის ჩართულობას ელის და მასზე მნიშვნელოვან იმედებს ამყარებს.

ერთია მოლოდინები; მეორეა, მოცემულ ვითარებაში კონკრეტულად რა ქმედებებს ისურვებდნენ რესპონდენტები დასავლეთის მხრიდან. უმრავლესობის აზრი ცხადია: 69 რესპონდენტი ფიქრობს, რომ დასავლეთმა უნდა გააძლიეროს ზეწოლა ხელისუფლებაზე (მათ შორის სანქციების გამოყენებით), ხოლო 23 – რომ მან „თანაბარი ზეწოლა უნდა მოახდინოს ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე“. აღსანიშნავია, რომ არც ერთმა არ ჩათვალა, რომ დასავლეთის ზეწოლის ძირითადი ობიექტი ოპოზიცია უნდა იყოს, რათა ის უფრო „კონსტრუქციული“ გახდეს; ასევე, არავინ დაეთანხმა აზრს, რომ „ამ ეტაპზე დასავლეთმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და შემდგომ აქტიურ ქმედებებზე უარი უნდა თქვას.“

დაბოლოს, ბოლო თვეების მოვლენების ფონზე (როგორიცაა მიშელის ხელშეკრულებიდან მმართველი პარტიის გამოსვლა, ევროკავშირის ფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ევროკავშირის წარმომადგენელთა გახშირებული კრიტიკა და ა.შ.) სულ უფრო ხშირად გამოითქმის ეჭვი იმის თაობაზე, ხომ არა გვაქვს საქმე „ქართული ოცნების“ მხრიდან პოლიტიკური კურსის ცვლი-

ლებასთან, ანუ ხომ არ მიანიშნებს ეს, რომ მან შეძლება უარი თქვას საქართველოს ტრადიციულ პრო-დასავლურ ორიენტაციაზე და, ამის სანაცვლოდ, რუსეთს დაუახლოვდეს. რესპონდენტების პასუხები მოწმობს, რომ ექსპერტები ამ ვარაუდს სერიოზულად უდგებიან. უმრავლესობა, 53 რესპონდენტი, ეთანხმება აზრს, რომ „საქართველო შეინარჩუნებს დეკლარირებულად პროდასავლურ ორიენტაციას, მაგრამ რეალურად დაუახლოვდება რუსეთს“, ხოლო 26 – რომ „საქართველო ღიად გადადგამს ნაბიჯებს, რომლებიც ეჭვის ქვეშ დააყენებს მის პროდასავლურ ორიენტაციას“. მხოლოდ 17-მა ჩათვალა, რომ ამ მხრივ არაფერი შეიცვლება და ქვეყანა ძველებურად გააგრძელებს ევროპული და ევროატლანტიკური ორიენტაციის კურსს.

როგორც კვლევის თვისობრივ კომპონენტში გამოჩნდა, ექსპერტების აზრით, საზოგადოების მხარდაჭერა პროდასავლური ორიენტაციის მიმართ ძირითადი ფაქტორია, რაც ნაკლებ სავარაუდოდ ხდის, ხელისუფლებამ ღიად თქვას უარი დასავლეთთან თანამშრომლობის პრიორიტეტულობაზე; ამიტომ ამ მხრივ პოლიტიკის მკვეთრი შეცვლა მოსალოდნელი არ არის. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმის აღიარებას, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა სერიოზულად აზარალა ურთიერთობა საქართველოსა და დასავლეთს შორის. მან თვალნათლივ აჩვენა, რომ ევროკავშირის და მთლიანად დასავლეთის გავლენა საქართველოს შიდა პროცესებზე შეზღუდულია, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლება სულ უფრო თამამად ახდენს დასავლეთის აზრის და რეკომენდაციების იგნორირებას. კრიზისმა შეამცირა დასავლეთის პოლიტიკურ მოთამაშეთა ნდობა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ, თუმცა ის კრიტიკულადაა განწყობილი ძირითადი ოპოზიციური ძალის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართაც.

ამ ფონზე საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში დასავლეთის ჩართულობის მიმართ მხარდაჭერის და ამისგან გამომდინარე მოლოდინების მაღალი დონე შეიძლება პარადოქსული გამოჩნდეს. შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ ამ ნაწილში რესპონდენტთა შეხედულებები ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის განწყობას შეესაბამება. ეს ლოგიკურს ხდის დავსვათ კითხვა, გადაჭარბებულ როლს ხომ არ ანიჭებს საქართველოს პოლიტიკური კლასი ან, უფრო, ფართოდ, ქართული საზოგადოება, გარე ძალების როლს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში? ექსპერტების დიდ ნაწილს ესმის აქედან გამომდინარე პრობლემა: რამდენიმე მათგანმა თავის კომენტარებში საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ ძირითადი პასუხისმგებლობა საქართველოში დემოკრატიის პროგრესზე შიდა ძალებს ეკისრებათ. მაგრამ გამოთქმულ მოსაზრებებში აგრეთვე გამოჩნდა სკეპტიკური დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური კლასის, კერძოდ, იმის მიმართ, რომ მძაფრი პოლარიზაციის პირობებში მხარეები შეძლებენ დიალოგის და თანამშრომლობის თუნდაც მინიმალური დონის მიღწევას, რის გარეშეც დემოკრატიის კონსოლიდაცია შეუძლებელია (ამაზე ქვევითაც ვისაუბრებთ). გარდა ამისა, ოპოზიცია კვლავ სუსტი რჩება საიმისოდ, რომ ეფექტიანად შეაკავოს ხელისუფლების მიდრეკილება ავტორიტარული მეთოდების გამოყენებისადმი. ბოლო ათწლეულებში დასავლეთის ჩართულობა ამ პრობლემების მოგვარებას თუ არა, შერბილებას მაინც ეხმარებოდა.

რაც შეეხება ამ ჩართულობის კონკრეტულ ფორმებს, რესპონდენტთა უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს და მოელის, რომ დასავლეთი გააგრძელებს ხელისუფლებაზე დიპლომატიურ ზეწოლას იმის მისაღწევად, რომ ხელისუფლებამ უფრო მეტად დაიცვას დემოკრატიული ნორმები. თუმცა, ამ ზეწოლის კონკრეტული ფორმების მიმართ სიცხადე არ გამოვლენილა. ზოგიერთმა რესპონდენტმა არასასურველად მიიჩნია მკაცრი სანქციების გამოყენება, რადგან ამან შეიძლება უბიძგოს ხელისუფლებას, კიდევ უფრო დაშორდეს განვითარების დასავლურ მიმართულებას, ან, ზოგის აზრით, ხელი შეუწყოს საქართველოში მოვლენების რევოლუციური სცენარით განვითარებას. ამასთან, საქართველოსთვის ფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა, თუ საქართველო მის ვალდებულებებს არ შეასრულებს, ზოგადად ლეგიტიმურ ზომად იყო მიჩნეული.

როგორია საქართველოში ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლის პერსპექტივა?

ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რაზეც საზოგადოებაში კამათობენ, ისაა, რამდენად არსებობს დღევანდელ საქართველოში ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლის რესურსი. ჯერჯერობით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამგვარი პრეცედენტი მხოლოდ ერთხელ, 2012 წელს განხორციელდა. ღიად რჩება საკითხი, ის გამონაკლისად დარჩება თუ წესად იქცევა.

პოლიტიკური პოლარიზაციის განსაკუთრებით მაღალი ხარისხი, უთანასწორო საარჩევნო გარემო, პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი (კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოს) მიმართ უნდობლობა, რწმენა, რომ მმართველი პარტია ყოველთვის შეძლებს საარჩევნო პროცესით მანიპულირებას თავის სასარგებლოდ, ზრდის იმის ალბათობას, რომ ოპოზიციის ნაწილმა უპირატესობა მიანიჭოს „რევოლუციური“, ანუ მასობრივი სახალხო გამოსვლების გზით ხელისუფლების შეცვლის გზას, როგორც ეს მოხდა 2003 წელს საქართველოში, 2004 და 2014 წელს უკრაინაში და 2018 წელს სომხეთში. ამიტომ განსაკუთრებით გვაინტერესებდა ექსპერტთა განწყობები ამ საკითხის მიმართ.

დემოკრატიაში პარტიათა შორის კონკურენცია შეხამებული უნდა იყოს ერთმანეთის მიმართ მინიმალურ პატივისცემასთან და კონსენსუსთან თამაშის საბაზისო წესების გარშემო. ამისთვის საჭიროა, პოლიტიკურ კონკურენტებს ერთმანეთთან დიალოგის უნარი ჰქონდეთ, განსაკუთრებით კრიტიკულ სიტუაციებში. ამის გარეშე იზრდება პროცესების კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლის ალბათობა. რამდენად აქვთ დაპირისპირებულ პოლიტიკურ მოთამაშეებს დიალოგის მზაობა?

60 რესპონდენტი ინარჩუნებს იმედს, რომ დიალოგი მომავალშიც შესაძლებელი იქნება, ოღონდ მხოლოდ დასავლელი შუამავლების მონაწილეობით, ხოლო 26 სრულიად გამორიცხავს დიალოგის შესაძლებლობას. მხოლოდ ექვსი რესპონდენტი თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლებას და ოპოზიციას შუამავლების გარეშეც შეუძლია ერთმანეთთან საუბარი. შეიძლება ითქვას, ამ შეკითხვაზე კვლევის ყველაზე უფრო პესიმისტური და შემაშფოთებელი პასუხი მივიღეთ.

ამ ფონზე, რამდენად მაღალია იმის ალბათობა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, მისი წინამორბედის მსგავსად, არჩევნების გზით შეიცვლება? ამაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოვლინდა. მყარი ოპტიმიზმი მხოლოდ 28 ექსპერტმა გამოთქვა: ისინი დაეთანხმნენ აზრს, რომ „თუ ოპოზიცია რეალურად ხელისუფლებაზე პოპულარული იქნება, მას არჩევნების მოგებას ვერავინ შეუშლის.“ გაცილებით ნაკლები, 9 გამოკითხული დაეთანხმა უკიდურესად პესიმისტურ შეფასებას: „ხელისუფლება ყოველთვის შეძლებს არჩევნების მანიპულირებას ისე, რომ ოპოზიციის გამარჯვება არ დაუშვას.“ უმრავლესობა, 59 რესპონდენტი, ინარჩუნებს იმედს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება საბოლოოდ არჩევნებით შეიცვლება, მაგრამ გარკვეული დათქმით: „ოპოზიციას არჩევნების მოგება შეუძლია, მაგრამ მას ხელისუფლებასთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს.“ ერთ-ერთმა ექსპერტმა კომენტარში დააზუსტა, რომ არჩევნების მოსაგებად ოპოზიციის მხარდაჭერა დაახლოებით 7-8 პროცენტით უნდა აღემატებოდეს მმართველი პარტიისას; სხვა შემთხვევაში ის ვერ გადასწონის ხელისუფლების მიერ უკანონო მეთოდების (მოსყიდვა, დაშინება, შედეგების გაყალბება და ა. შ.) გამოყენებას.

არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლის ალტერნატივა რევოლუციური სცენარია, რისი გამოცდილებაც საქართველოს წარსულში ჰქონია. ექსპერტებს ვთხოვეთ იმის შეფასება, რამდენად ალბათურად მიაჩნიათ მოვლენათა ასეთი განვითარება (იმ დაზუსტებით, რომ კითხვა არ ეხება იმას, რამდენად მისაღებია ის პირადად მათთვის). აქაც ყველაზე გავრცელებული ორჭოფული პოზიცია აღმოჩნდა: „რევოლუციური სცენარის ალბათობა დაბალია, მაგრამ მას ვერ გამოვრიცხავ“ (ამ აზრს 59 რესპონდენტი დაეთანხმა). კიდევ 15 თვლის, რომ „რევოლუციური თუ საარჩევნო გზით ხელისუფლების შეცვლის ალბათობა დაახლოებით თანაბარია“, ხოლო რვა რევოლუციური სცენარის ალბათობას აფასებს როგორც „მაღალს“. მხოლოდ 12 რესპონდენტმა გამოთქვა მკაფიო რწმენა, რომ „ქართული ოცნების ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით შეიცვლება.“

დაბოლოს, ექსპერტებს ვთხოვეთ იმის ზოგადი შეფასება, თუ რას ნიშნავს ბოლო წლის კრიზისული მოვლენების ერთობლიობა საქართველოში დემოკრატიის განვითარების ზოგადი პერსპექტივის თვალსაზრისით. აქ ხედვა უმეტესწილად პესიმისტურია: 74 რესპონდენტის აზრით, „ამ წლის მოვლენებმა მთლიანობაში ავტორიტარიზმს დაგვაახლოვა“. 15-მა ჩათვალა, რომ დემოკრატიის ხარისხის მხრივ არაფერი შეცვლილა და მხოლოდ ერთი დაეთანხმა ვარაუდს, რომ „ამ წლის მოვლენებმა ჯამში აამაღლა საქართველოს დემოკრატიის სფეროში რეალური პროგრესის შანსები“.

კვლევის თვისობრივ ნაწილში გამოჩნდა, რომ, როგორც ველოდით, ექსპერტები რევოლუციურ სცენარს მეტად არასასურველად მიიჩნევენ. მათ მოყავთ გარკვეული არგუმენტები იმ შეფასების სასარგებლოდ, რატომაა რევოლუციური სცენარის ალბათობა შედარებით დაბალი (თუმცა მისი გამორიცხვა არ შეიძლება): ბოლო დემოკრატიულ რევოლუციასთან, ანუ 2003 წელთან შედარებით ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, ისეთი ავტორიტეტული მოთამაშე, როგორიცაა ეკლესია, ხელისუფლების მხარესაა, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებულია საარჩევნო გზის უპირატესობაში. საზოგადოების უკმაყოფილება რამდენადმე იზრდება, მაგრამ მას არ მიუღწევია იმ ნიშნულისთვის, როცა ხალხი რადიკალურ მეთოდებს გაამართლებდა.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა თავად ამ თემაზე საკითხის დასმაც კი არაეთიკურად ჩათვალა, რადგან წარმოდგენილი ანგარიშის მკითხველმა ექსპერტული აზრი, რომ რევოლუციური სცენარი გამორიცხული არ არის, შეიძლება რევოლუციისკენ მოწოდებად აღიქვას. აქედან გამომდინარე, ხაზს ვუსვამთ ამ კვლევის ავტორთა პოზიციას, რომ ძალაუფლების არაკონსტიტუციური ცვლის პერსპექტივა უკიდურესად სახიფათო და არასასურველია. მაგრამ, როგორც ამ კვლევამაც აჩვენა, სკეპტიციზმს პატიოსანი არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობის მიმართ, მოგვწონს თუ არა ეს, ლოგიკურად მივყავართ რევოლუციური სცენარის დაშვებამდე. თუმცა, როგორც ვთქვით, გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობა ასეთ პერსპექტივას ამ ეტაპზე ნაკლებ ალბათურად მიიჩნევს, ისინი აღიარებენ, რომ პროცესების წინასწარმეტყველება შეუძლებელია და ადამიანთა განწყობა შეიძლება ერთბაშად შეიცვალოს.